# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა პატიოსნების ესამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 23 სექტემბერი, 2011 წელი.

№177 (6808)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ვანო მერაბიშვილმა



## საკადრო წმენდა დაიწყო

②

## ალექსანდრე ებრალიძე პოლიტიკიდან მიდის?

④



## მუბარაქი გაყიდეს, მიშა სააკაშვილს კი თვითონ ცხოვრება გასწევს გვერდზე

③

## სახელმწიფო ობიექტებს ისე ასხვისებენ, რომ ახალი მფლობელების საკონტაქტო ნომრებსაც არ იტოვებენ



②

## წარსულის დიდი მესაიდუმლე

ოთარ ჯაფარიძე – 90



⑥

## „ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი – კომფორტულ მომსახურებას"

④


ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას" ენდობი

მიდი, ჯიხურში ყოველდღე ჩვენი გაზეთი იკითხე, თუ ჭურში ჯდომა არ გინდა, შეიძინე და იკითხე!..

ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..


## მონობა თავდაცვის სამინისტროში

## ტრეფიკინგი ქართული ვარიაციით

②





## დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილის ექსტერიტორიად გამოცხადების იდეამ ბაქოში მწვავე რეაქციები გამოიწვია

⑪

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღის ჭირ-ვარამი

## მონობა თავდაცვის სამინისტროში

**პრესაპი.ტვ-ის ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლებს უკვე მესამე თვეა, უხელფასოდ ამუშავებენ. მათ ამის მიზეზად იმასეუბნებიან, რომ ისინი კადრების განკარგულებაში ყოფილან გადაყვანილი და მათ დანიშვნას მინისტრი არ აწერს ხელს.**

ამ შემთხვევაში საუბარია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებზე. დაახლოებით 100-120 ადამიანზე. თუმცა, ჩვენი წყარო აცხადებს, რომ დიდი ალბათობით, ასეთივე მდგომარეობაში არიან სხვა დეპარტამენტების თანამშრომლებიც.




„ამ ადამიანებს უკვე მესამე თვეა, ხელფასს არ უხდიან, რადგან, როგორც მათ ეუბნებიან, კადრების განყოფილებაში ყოფილან გადაყვანილნი. თუმცა, ყველა მათგანს აიძულებენ, რომ სამსახურში ჩვეულებრივად იარონ და საქმე აკეთონ. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ ოპერატიულ სამსახურს ძირითადად არანორმირებული გრაფიკით უწევს მუშაობა, მათ სთხოვენ, რომ სამსახურში დილის 10 საათზე გამოცხადდნენ და მუშაობენ გვიან ღამემდე და ხშირად ღამისთევაც უწევთ", - აცხადებს ჩვენი წყარო.

არადა, ქართული კანონმდებლობის მიხედვით სამინისტროს ამის გაკეთების უფლება არა აქვს. ჯერ ერთი, ქართული კანონმდებლობა ტერმინს - „კადრების განკარგულებაში" გადაყვანას არ იცნობს. როგორც იურისტები განმარტავენ, ეს ტერმინი არსებობდა საბჭოთა კანონმდებლობაში, მაგრამ დღეს არ არის არც „შრომის კოდექსში" და არც „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში და, თუკი დღეს სამინისტრო ამას იყენებს, ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ უკანონოდ იქცევა.

მეორე საკითხია, თუ რატომ თანხმდებიან ეს ადამიანები ასეთ პირობებში მუშაობას, ან რატომ მოხდა სამსახურიდან მათი მასობრივი გათავისუფლება. ჩვენი წყაროს განმარტებით, მათ ეუბნებიან, რომ ისინი მინისტრის ბრძანებით არიან კადრების განკარგულებაში გადაყვანილნი ანუ, გათავისუფლებულნი და მათი დანიშვნისთვის მინისტრის ხელმოწერაა საჭირო. „მაგრამ რატომ არ აწერს მინისტრი მათ დანიშვნას ხელს, არავინ იცის და ამის კითხვას ვერც ვერავინ ბედავს. პრინციპში, თუ გავითვალისწინებთ როგორ ექცევა ახალაია საკუთარ თანამშრომლებს - როგორ აყენებს მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას, გასაკვირიც არაფერია. მთავარია, რომ ადამიანებს უხელფასოდ ამუშავებენ და, რაც მთავარია, მათ ემუქრებიან, რომ თუკი სამსახურში არ მივლენ და ამის შესახებ ვინმე რამეს გაიგებს, მათ „მგლის ბილეთით" გაუშვებენ".

სხვათა შორის, ქართული კანონმდებლობა არც ტერმინს „მგლის ბილეთი" იცნობს, მაგრამ ძალოვან სტრუქტურებში მოქმედებს პრინციპი, - თუ ვინმე რამეს გააპროტესტებს, ისინი სამსახურის დაწყებას ვეღარსად შეძლებენ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ეს ადამიანები ჩუმად ყოფნას და უხელფასოდ მუშაობას ამჯობინებენ.

მეორე საკითხია, თუ რატომ აკეთებს ამას სამინისტრო? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, ხელფასების გადაუხდელობით რა თანხას ზოგავენ და ეს ფული სად მიდის?

თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო პოლიციის რიგითი თანამშრომლის ხელფასი 800-1200 ლარია, გამოდის, რომ სამინისტრომ მინიმუმ, 250 000 ლარამდე დაზოგა, მაგრამ თანხა სად წავიდა, არავინ იცის. მით უმეტეს, რომ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ხარჯვას ვერვინ გაარკვევს.

ადამიანების უხელფასოდ მუშაობა და მათი დაშინება „მგლის ბილეთის" საბუთებით არც მეტი, არც ნაკლები, ტრეფიკინგია და გამოდის, რომ ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს ტრეფიკინგის პირობებში ამყოფებს.

**თეონა ხარაბაძე**

## ვერა ქობალიას უწყება

# სახელმწიფო ობიექტებს ისე ასხვისებენ, რომ ახალი მფლობელების საკონტაქტო ნომრებსაც არ იტოვებენ

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გამომცემლობა „სამშობლოს" ახალი მფლობელის - შპს „სითი ლოფტის" საკონტაქტო ნომრები არ აქვთ.**

**ამის შესახებ „პირველს" ქობალიას უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს და „09"-ში გადაამისამართეს.**

„09"-ში იკითხეთ. აზრზე არ ვართ. ჩვენ კონტაქტები არ გვაქვს და არც გავცემთ. ამის უფლება არ გვაქვს", — განუცხადა „პირველს" სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა.

„პირველი" შეეცადა, „სითი ლოფტის" შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში მოეძიებინა, მაგრამ უშედეგოდ. 2011 წლის 8 სექტემბერს დაფუძნებული კომპანიის შესახებ Google-ში არანაირი საკონტაქტო ინფორმაცია არ მოიძებნა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა პირდაპირი მიყიდვის წესით შპს „სითი ლოფტს" 9 მილიონ აშშ დოლარად გადაეცა.

საპრივატიზაციო პირობებად საპრივატიზაციო თანხის 2011 წლის პირველ დეკემბრამდე გადახდა განისაზღვრა.

კომპანია აგრეთვე ვალდებულია, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატაროს და ამ მიზნით ლარში 10 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტური ოდენობის ინვესტიცია განახორციელოს.

ალსანიშნავია, რომ სამეწარმეო რეესტრის ოფიციალური ინფორმაციით, კომპანია „სითი ლოფტი" 2011 წლის 8 სექტემბერს დაფუძნდა. რეესტრში კომპანიის დაფუძნებაზე განმცხადებლად - ევგენი დავითაია, წარმომადგენლად კი დავით ოყროშიძეა მითითებული.



ცნობისთვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამომცემლობა „სამშობლოს" აუქციონის წესით პრივატიზებას რამდენჯერმე შეეცადა. ბოლო აუქციონი 18 ივლისს გაიმართა. მაშინ ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 16 200 000 ლარი იყო, თუმცა განაცხადების არარსებობის გამო მთავრობამ შენობის პრივატიზება ვერ შეძლო.

**თელარა გელანტია**

## ახალი „კარუსელი"

**ვანო მერაბიშვილმა საკადრო წმენდა დაიწყო. „პირველის" ინფორმაციით, შსს-ში განხორციელებულ ახალ „კარუსელს" თბილისის პოლიციის შეფის გია ხიზანიშვილის სავარძელიც შეეწირება. მას ამ თანამდებობაზე შს სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონის სამმართველოს უფროსი გოდერძი ნატროშვილი ჩაანაცვლებს, თავად ხიზანიშვილის ბედი კი ჯერჯერობით გაურკვეველია.**




„პირველის" ინფორმაციით, მცხეთა-მთიანეთის, გურიისა და კახეთის რეგიონების სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელების შეცვლის შემდეგ შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს შეფის პოსტი ვლადიმერ ჯულელსაც დაატოვებინეს.

ალნიშნული ფაქტი „პირველს" თავად ჯუღელმაც დაუდასტურა.

„შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი აღარ ვარ. ჩემს ნაცვლად, მანდ გიორგი როსტიაშვილი დაინიშნა, მე კი თბილისში, სოდში გადმომიყვანეს, მაგრამ ქართულ და ოსურ მხარეებს შორის დაკავებულთა გაცვლის ხაზით მუშაობას გავაგრძელებ", — განუცხადა „პირველს" ჯულელმა.

„პირველის" ინფორმირებული წყაროს ცნობით, უკვე განხორციელებული საკადრო ცვლილებების გარდა, დაგეგმილია შს სამინისტროს ყველა სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელთა შეცვლა, რეგიონების შემდეგ კი ცვლილებები თბილისის შს მთავარ სამმართველოსა და რაიონულ სამმართველოებსაც შეეხებათ.

წყარო იმასაც გვიყვება, რომ კრიმინალური პოლიციის შეფ ერეკლე კოდუას სახელმწიფო დაცვის დასავლეთ საქართველოს სამსახურის უფროსად დანიშნავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კოდუა მერაბიშვილის უწყებას საბოლოოდ დატოვებს.

ამასთან, დაგეგმილია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის გოგა გრიგალაშვილის შს მინისტრის მოადგილედ გადაყვანა, მაგრამ ვინ ჩაანაცვლებს გრიგალაშვილსა და კოდუას, ან მერაბიშვილის რომელ მოადგილეს შეცვლის თავად გრიგალაშვილი, ჯერჯერობით არ კონკრეტდება.

ცნობისთვის, ვანო მერაბიშვილს ოთხი მოადგილე ჰყავს: პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე, მოადგილეები ამირან მესხელი, შალვა ჯანაშვილი და გიორგი ლორთქიფანიძე.

შეგახსენებთ, რომ შს სამინისტროში საკადრო ცვლილებები აქტიურ ფაზაში 26 მაისის მოვლენების შემდეგ გადავიდა. კერძოდ, ალნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით შს მინისტრის ბრძანებით, დისციპლინარული წესდების დარღვევის გამო სამინისტროს ოთხი თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს, ერთი თანამშრომელი თანამდებობიდან ჩამოქვეითდა, სამს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, ხოლო რვას — საყვედური.

სწორედ იმ დღეს, 15 ივლისს, როდესაც შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა ალნიშნული ცვლილებების შესახებ განცხადება გააკეთა, პოლიციის ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოს იმჟამინდელი შეფი ირაკლი აბაშიძე დაწინაურდა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს უფროსის პოსტზე ალექსანდრე მაისურაძე შეცვალა, თავად მაისურაძის ბედი კი გაურკვეველია.

ალსანიშნავია, რომ აბაშიძის დაწინაურების შესახებ ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმაც მხოლოდ 15 ივლისს შეიტყვეს, როდესაც აბაშიძე ყოფილ სამსახურში ახალი მანქანით მივიდა და თანამშრომლებს დაემშვიდობა.

ამას გურიისა და კახეთის სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელების შეცვლაც მოჰყვა.

## რეჟისორის გეგმები

# რობერტ სტურუას რამდენიმე მსახიობიც მიჰყავს...



**ქართველი რეჟისორი რობერტ სტურუა უახლოეს მომავალში მოსკოვის „Et Cetera"-ს თეატრში მუშაობას შეუდგება. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

„ახლა მე რალაც საქმეები მაქვს თბილისში დასამთავრებელი, 2 ოქტომბერს კი უკვე მოსკოვში ვიქნები„, — განაცხადა რეჟისორმა რუსულ მედიასთან საუბარში.

ალნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას, რუსული მედია ალნიშნავს, რომ 2 ოქტომბრის შემდეგ, რეჟისორი „Et Cetera" -სთან თავისი ურთიერთობების ოფიციალურად გაფორმებას გეგმავს, სადაც იგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალექსანდრე კალიაგინმა მიიწვია.

„მე ზუსტად არ ვიცი თუ რა ერქმევა ჩემს თანამდებობას, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იგი იქნება გამყარებული საშტატო განრიგით და მე რეგულარული ხელფასი მექნება", — აცხადებს რობერტ სტურუა და ალნიშნავს, რომ იგი „Et Cetera"-ს თეატრში მასთან ერთად რუსთაველის თეატრის რამდენიმე მსახიობის გადაყვანას გეგმავს. „ამის შესახებ უკვე ველაპარაკე კალიაგინს და ის ამის მომხრეა", — აცხადებს რეჟისორი.

„თავდაპირველად მე მანთავისუფლებენ თეატრიდან, ახლა კი მთავაზობენ დავდგა ორი სპექტაკლი და ამისათვის დიდი ფულის გადახდას მპირდებიან, მაგრამ რა, მე უკვე აღარ ვარ ქსენოფობი? მე არ ვარ გმირი, მე ადამიანი ვარ, თავისუფალი ადამიანი და ამიტომაც პატივი უნდა ვცე საკუთარ თავს და არ გადავდგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც ჩემს სინდისს ეწინააღმდეგება", - რეჟისორის სიტყვები მოჰყავს რუსულ მედიას.

## პატიმრები ჩივიან

# ისრაელის საელჩო აპროტესტებს

**ისრაელის საელჩო საქართველოში ალშფოთებას გამოთქვამს ციხეში მყოფი ისრაელის მოქალაქეების რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის მიმართ უხეშ და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. როგორც „ინტერპრესნიუსს„ საელჩოდან აცნობეს, დიპლომატიურმა უწყებამ საპროტესტო წერილები გაუგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახალხო დამცველს.**

რონი ფუქსმა საკუთარ ადვოკატს არჩილ კბილაშვილს წერილი გაუგზავნა, რომელშიც არასათანადო მოპყრობაზე საუბრობს. როგორც კბილაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ფუქსი წერს, რომ 17 სექტემბერს, ღამის 02:00 საათზე, მის საკანში შავებში ჩაცმული და ნილბიანი ადამიანები შევიდნენ, სახით კედელთან დააყენეს და ხელები მაღლა აანევინეს.

კბილაშვილის თქმით, ამის შესახებ საქართველოში ისრაელის ელჩს აცნობა, რის შემდეგაც, ელჩი საპატიმროში ფუქსისა და ფრენკელის მოსანახულებლად მივიდა. ადვოკატის ინფორმაციით, რონი ფუქსის წერილი ელჩმა თელ-ავივშიც გააგზავნა.

შეგახსენებთ, რომ სასამართლომ რონი ფუქსს 6,5 წლით, ზეევ ფრენკელს კი 7,5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**„ქართველთა მარში" მოახლოვდა**

# მუბარაქი გაყიდეს, მიშა სააკაშვილს კი თვითონ ცხოვრება გასწევს გვერდზე

**„ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე სუპერაქტიურობას გვპირდება და „ქართველთა მარშს" აანონსებს, რომელიც მსოფლიოს დაანახვებს, რომ ქართველები არ გაჩერდებიან, არ შეეგუებიან ტერიტორიების დაკარგვას, არ შეეგუებიან ექსპერიმენტს, სახელად სინგაპურს. ᲞᲠᲔᲡᲐᲒᲔ.ᲢᲕ. ესაუბრება ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ.**

– 27 სექტემბერს, სამშაბათს, თბილისში „ქართველთა მარში" გაიმართება. „ქართველთა მარში" 16.00 საათზე რესპუბლიკის, ე.წ. ვარდების მოედნიდან დაიწყება, მსვლელობით გავივლით რუსთაველის გამზირს, შემდეგ მივალთ სამების ტაძარში, სადაც გაიმართება დაღუპული გმირების მოსახსენიებელი რიტუალი და ამ დღის აღნიშვნა. მოგეხსენებათ, ეს მარტო სოხუმის დაცემის დღე არ არის, არამედ ჯვართამაღლების დღეა.

ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმაა იმის შესახებ, ეს ხომ არ არის ფორუმის პარტიული აქცია. ჩვენი სურვილი რომ ყოფილიყო, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორუმის აქცია ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ამას დავარქმევდით „ფორუმის მარშს". არავითარ შემთხვევაში! ამ აქციას ჰქვია „ქართველთა მარში", მინდა ყველას ვუთხრა, ვინც მოვა 27-ში და ჩვენთან ერთად გაივლის ამ მარშს, არავინ იქნება სტუმარი, ყველა მასპინძელი იქნება. დავიძრებით სამების ტაძრისკენ და აქცია იმ დღესვე დამთავრდება, ანუ დაიწყება 27-ში და დასრულდება 27-შივე. ეს არის აქცია, რომელმაც ქართველი ერის ძალიან სერიოზული განაცხადი უნდა გამოხატოს, რომ ჩვენ, როგორც ერი, განვაგრძობთ არსებობას.

**– წინასწარ თუ იცით, ქართველთა მარშს რომელი პოლიტიკური პარტიები შემოუერთდებიან?**

- არ ვიცი, ისინი თავად გააკეთებენ განცხადებას ამის შესახებ. არ დაგიმალავთ, ჩვენ არავისთან კონსულტაციები არ ჩაგვიტარებია. ეს არ არის „ეროვნული ფორუმის" ვიწრო პარტიულ ინტერესებში ჩამჯდარი აქცია, ამას ჰქვია „ქართველთა მარში" და არა „ფორუმის მარში".

**– ელოდებით, რომ 26 მაისის შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ ქუჩაში გავა?**

- ველოდები. საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი ამ საკითხთან დაკავშირებით. არავითარ პოლიტიკურ განცხადებას და დოკუმენტს არ მივიღებთ, ეს იქნება მსვლელობა ტაძრისკენ. პარტიულობასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ „ფორუმის" გადაწყვეტილებით, ამ აქციაზე „ფორუმის" პარტიული დროშები არ იქნება. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც „ქართველთა მარშს" შემოუერთდება, პოლიტიკური გაერთიანებების დროშები მათაც არ ჰქონდეთ. „ფორუმი" აცხადებს პრეტენზიას, რომ მან საერთო ქართულ პრობლემებზე ფიქრი დაიწყოს, ამიტომაც დაიგეგმა აქციის მოწყობა.

**– ეს მარში გაუგებრობას ხომ არ შეიტანს იმ თვალსაზრისით, რომ ოპოზიციური „ექვსიანიც" აპირებდა აქციების მოწყობას?**

- არ არის პრობლემა. თუ 27 სექტემბერს გულისხმობთ, ყველას გვაქვს უფლება, მოვაწყოთ ის, რასაც სწორად ვფიქრობთ.

**– იმ შემთხვევაში, თუ თქვენი პარტნიორები „ექვსიანიდან" ქართველთა მარშში მონაწილეობას არ მიიღებენ, თქვენ გული არ დაგწყდებათ?**

- არანაირად, არავითარ შემთხვევაში.

**– იმის მიუხედავად, წინმსწრებად რა განცხადებებს აკეთებენ ზვიად ძიძიგური და სხვები, რომ „ფორუმის" მიერ დაგეგმილი „ქართველთა მარში" „ექვსიანისთვის" მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა, რომლის შესახებაც მათ მხოლოდ მედიის საშუალებით შეიტყვეს?**

- არავითარ შემთხვევაში! ზვიად ძიძიგურსა და გუბაზ სანიკიძეს შორის შავმა კატამ გაირბინოს - ეს გამორიცხეთ საერთოდ! ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ერთმანეთის 22 წლის თანამებრძოლები ვართ.



**– ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა" „ქართველთა მარშს" შეუერთდება. გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც, რომ ბურჯანაძემ გამოიყენა 26 მაისის ტრიბუნა, ამჯერად კი 27 სექტემბრის ტრიბუნის გამოყენებას აპირებს „ქართველთა მარშის" სახით.**

- მე ვინ მომცა უფლება, ვინმეს რამე დავუშალო? ტრიბუნა რას ნიშნავს? არავითარი ტრიბუნა - მე ვიქნები რიგითი მონაწილე და რიგითი წევრი ამ მსვლელობისა. უბრალოდ, „ეროვნულმა ფორუმმა" ეს იდეა და ეს ინიციატივა შესთავაზა ქართულ საზოგადოებას. აქ მონაწილეობის უფლება აქვს ყველას და არავისზე მეტი მე არ ვარ და არც არავისზე ნაკლები არ გახლავართ. ყველანი ვართ თანასწორნი ამ ქვეყანასთან მიმართებით.

**– პრორუსულ ძალებს რომ ეძახიან - ნოღაიდელს, კუკავას და სხვებს, მათაც აქვთ „ქართველთა მარშში" მონაწილეობის უფლება?**

- არ ვიცი, ეს მათ უნდა გადაწყვიტონ. ამ ქვეყანაში უკვე ყოველგვარი მინუსები მოიხსნა. არავითარი მინუსი არ არსებობს. 27 სექტემბერი გახლავთ სოხუმის დაცემის დღე. იცით, როგორ არის საქმე? ეროვნული კატასტროფის თარიღებს რამდენად აღნიშნავს ხალხი?! ზეიმი სულ სხვა ამბავია. სერბები დღემდე აღნიშნავენ კოსოვოს ველზე დამარცხებას თურქეთთან. არადა, მას შემდეგ თითქმის 600 წელია გასული. ისინი აღნიშნავენ თავიანთ კატასტროფას და ჩვენც ასე უნდა აღვნიშნოთ.

რამდენი წელია სოხუმი დაეცა, მაგრამ არასდროს ჩვენ მსვლელობა ან პროტესტი არ გამოგვიხატავს ამასთან დაკავშირებით. სულ ვიღაცის იმედად ვიყავით, ან ჯორჯ ბუში მიშველის, ან გაერო მიშველის, ან ევროპა მიშველის. არავინ არ გვიშველის, ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს. ეს იქნება ძალიან სერიოზული აქცია, რომელიც მთელ მსოფლიოს დაანახებს, რომ ქართველები არ გაჩერდებიან, არ შეეგუებიან ტერიტორიების დაკარგვას. ქართველები არ შეეგუებიან ექსპერიმენტს, სახელად სინგაპური.

**– დაახლოებით ასეთი მარშრუტი ერთხელ უკვე გავიარეთ, როდესაც გია გაჩეჩილაძემ ხალხი სამების ტაძარში წაიყვანა და იქ ელოდა პატრიარქის გამოსვლას.**

- არა, ჩემო კარგო, არაფერი საერთო 26 მაისის აქციას და 27 სექტემბრის აქციას არ აქვს.

**– პატრიარქის გამოჩენას და სამებისკენ მიმავალი მრევლადქცეული ხალხის დალოცვას არ ელით?**

- ველოდებით — არ ველოდებით, ეს პატრიარქის გადასაწყვეტია. ჩვენ უბრალოდ ვიცით, რომ, როცა იქ მივალთ, ჩვენ იქ დაგვხვდებიან და ყველანაირი ქრისტიანული წესით მოხდება ამ თარიღის აღნიშვნა.

**– ანუ სხვა მოძღვრებს გულისხმობთ?**

— დიახ.

**– ჩამოდის სარკოზი, მონაკოს პრინცი... თქვენ რა შეფასებას მისცემთ მათ ვოიაჟებს?**

— არაფერი, უბრალოდ, ჩამოდიან და წავლენ.

**– ეს მაშინ, როცა ოპოზიცია ამტკიცებს, რომ დასავლეთში სააკაშვილს მხარდაჭერა აღარ აქვს... რას მივაწეროთ ეს ვიზიტები?**

— ეს მხარდაჭერას არ ნიშნავს. როგორ გგონიათ, მიშას მხარდასაჭერად ჩამოდიან? მონაკოს პრინცი ამჟამად არის ზღაპრული სახელმწიფოს მეთაური. მსოფლიო პოლიტიკაში მონაკოს წილი ძალიან მცირეა. მონაკო არაფერს არ წარმოადგენს. ახლა ეს არის მიშას გართობის ერთ-ერთინაირსახეობა. რაც შეეხება სარკოზის, მოდით, სხვანაირად განვიხილოთ სარკოზის ვიზიტი. იქნებ, ყვითელი ბარათი ჩამოაქვს ჩვენი ჭკვიანი და დალაგებული პრეზიდენტისთვის? ესეც არ გამორიცხოთ და კიდევ სხვა პროცესებია დაწყებული, რაზეც მოგვიანებით ჩვენ გავაკეთებთ განცხადებებს. ეს გახლავთ ძალიან არასასურველი პროცესები ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით.

**– „ქართველთა მარშს" უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. ზოგიერთებმა ეს რუსული მარშის ანალოგიად მონათლეს.**

- ნუ, რაც უნდათ, ის თქვან. ვიღაცეებმა თქვეს, რომ ეს არის ამერიკელების პროექტი.

**– ვიღაცეებმა კი თქვეს, რომ ეს მარში ხელისუფლების ინტერესშიცაა.**

- მოდით რა, იმარჩიელონ მათ, ვისაც მარჩიელობა მოსწონთ. ამაში სპეციალისტი არ ვარ. კიდევ ერთი - შეთანხმდნენ ერთ რამეში: როდესაც რაღაცას აბრალებენ „ფორუმს", შეთანხმებულად დააბრალონ ხოლმე.

**– 27-ში ნინო ბურჯანაძე თქვენს გვერდით დადგება, თუმცა ის პერიოდულად შეახსენებს ხოლმე ოპოზიციას, რომ ისინი მის გვერდით 26 მაისს არ დადგნენ. ეს რაიმე გაუგებრობას არ შექმნის, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მის ოჯახთან დაახლოებული პირი ბრძანდებით?**

- არა მგონია, ამან რაიმე გაუგებრობა გამოიწვიოს. არის საკითხები, რაზედაც ჩვენ, შესაძლოა, ერთი მოსაზრება არ გვქონდეს, განსაკუთრებით წარსულთან მიმართებით. აქ მარტო ბურჯანაძეს არ ვგულისხმობ, მაგრამ ახლა მთავარია, რომ ქვეყანას სჭირდება დიდი ოპოზიციური ერთობა. მორჩა და გათავდა. და ეროვნული ფორუმი ყველაფერს გააკეთებს, რომ ოპოზიციური ძალების დაახლოება მოხდეს.

**– რას დაინახავს დასავლეთი, ბატონო გუბაზ?**

- დასავლეთი დაინახავს, რომ მოიცა, კაცო, აქ ფაქტორი მიშა კი არ არის ამ ქვეყანაში. მოიცა, მიშა გაიწიე ერთი...

**– რომ არ გასწიონ მიშა?**

- არა, როგორ არა, ცხოვრება გასწევს, ჩემო კარგო. მუბარაქი გაყიდეს ეგრე, რას მელაპარაკები. მიშა ვინ არის?

**– ანუ „ქართველთა მარში" გათვლილია დასავლეთზეც და შინაურებზეც?**

- დიახ, ყველაზე, რადგან ფაქტორი აქ არის ქართველი ხალხი და არა სააკაშვილი და ნაცმოძრაობა.

**– საზოგადოება ითხოვს, რომ ოპოზიცია გააქტიურდეს და ხალხს სათავეში ჩაუდგეს. ოპოზიცია კი აქეთ მიმართავს ქართველ ერს, თქვენ გააქტიურდით და ჩვენ შემდეგ შემოგიერთდებითო. რაღაც შუალედი ხომ არ არის მოსაძებნი?**

- ეს პროცესი დინამიკაში უნდა მოხდეს. ოპოზიცია ხალხის გარეშე როგორ გააქტიურდება?! ხალხს კიდევ სჭირდება მაორგანიზებელი ძალა. ჩვენ, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და ხალხი განწირულნი ვართ იმისთვის, რომ ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ. სხვა გზა არ გვაქვს.

**– მაინც რამდენი ადამიანი გამოვა 27 სექტემბერს?**

— არ ვიცი, 27-ში ყველაფერს დავინახავთ.

**ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ**

**ინფორმაცია**

## საარჩევნო სიაში შესაძლოა, კონკურენტი პარტიის წევრიც მოხვდეს

საარჩევნო სიაში კონკურენტი პარტიის წევრის შეყვანა შესაძლოა, დასაშვები გახდეს. მოქმედი „საარჩევნო კოდექსის" მიხედვით, დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეყვანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა.

პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტში კი, ეს დათქმა ამოღებულია.

„საარჩევნო კოდექსის" პროექტში მოქმედი კოდექსიდან მხოლოდ ის მოთხოვნაა გადმოტანილი, რომ დაუშვებელია ერთი და იმავე პირის შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში.

ახალი „საარჩევნო კოდექსის" პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია, მისი განხილვა პროექტზე ვენეციის კომისიის მიერ დასკვნის მომზადების შემდეგ დაიწყება.

## დეპუტატობის სურვილისას, რამდენიმე მოხელეს თანამდებობიდან გადადგომა აღარ მოუწევს

რამდენიმე საჯარო მოხელეს, დეპუტატობის სურვილისას, თანამდებობიდან გადადგომა აღარ მოუწევს. „საარჩევნო კოდექსის„ მოქმედი რედაქციით, პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა, დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები: საქართველოს პრეზიდენტი; ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; უშიშროების საბჭოს წევრები; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები; კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები; სახელმწიფო რწმუნებულები — გუბერნატორები და მათი მოადგილეები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები; შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები; მოსამართლეები; სახალხო დამცველი და მისი მოადგილე; პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები; პრეზიდენტის თანაშემწეები; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები; აუდიტორული საქმიანობის საბჭოს წევრები; ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრები; საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი და მისი მოადგილეები; პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები.

კანონპროექტით, დეპუტატობის სურვილისას, თანამდებობის დატოვება აღარ მოუწევთ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს წევრებს, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრებს.

ასევე: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების ნაცვლად, ჩაიწერება საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი და ქალაქის მერი. რაც შეეხება პრეზიდენტთან დაკავშირებულ მოხელეებს, პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრების და პრეზიდენტის თანაშემწეების ნაცვლად, კოდექსის ახალ პროექტში წერია, რომ თანამდებობიდან განთავისუფლება არ მოუწევთ პრეზიდენტის მრჩევლებს.

ᲮᲝ-ᲔᲘᲕ-ᲔᲜᲘ

თანამემამულე

*პეტერბურგის საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ 12 სექტემბერს, სასტუმროში „ტალიონ-იმპერიალი" სრულიად რუსეთის ალექსანდრე ნეველის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს პრემია საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა, პეტერბურგელმა ბიზნესმენმა, ალექსანდრე ებრალიძემ დააარსა, რომელსაც საქართველოში ასევე იცნობენ როგორც ადამიანს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტობა სურს. ჩვენ ვერ დავუკავშირდით პირადად მას და გადავწყვიტეთ ზოგიერთი საკითხი საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორთან, ქალბატონ ნანა ჯაფარიძესთან დაგვეზუსტებინა.*



# ალექსანდრე ებრალიძე პოლიტიკიდან მიდის?

**—ქალბატონო ნანა, რა იცით ამ კონკურსის შესახებ და როგორ ჩატარდა იგი წელს?**

— ეს კონკურსი წელს უკვე მეშვიდედ გაიმართა. მე კი დაჯილდოების ცერემონიას მესამედ ვესწრებოდი და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „ალექსანდრე ნეველი" ერთ-ერთი მასშტაბური და პოპულარულია როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

**— ვინ გახდა წელს პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი?**

— ლიტერატურულ კონკურსში პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი გახდა მკვლევართა ჯგუფი ვლადიმერ ზახაროვის, ვიქტორ მოლჩანოვისა და ბორის ტიხომიროვის შემადგენლობით, წიგნისთვის „დოსტოევსკის სახარება", რომელიც მწერლის დაბადებიდან 190-ე წლისთავს მიეძღვნა.

დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიისაგან განსხვავებით, რომელიც საქართველოში ტარდება და ისიც ბატონი ალექსანდრე ებრალიძის მიერ არის დაფუძნებული, რუსეთის კონკურსში, სამეცნიერო და ლიტერატურული ნაწარმოებების გარდა ასევე მონაწილეობას ღებულობენ სამუზეუმო ექსპოზიციათა ავტორები. სამწუხაროდ ჩვენთან ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან ჩვენთან მუზეუმები საბიუჯეტო ორგანიზაციებია და მათ ხელმძღვანელებს ეშინიათ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, რომელსაც ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესმენი აფინანსებს.

კონკურსის სამუზეუმო კომპონენტში პირველი პრემია გადაეცა შემოქმედებით ჯგუფს პროექტისთვის „ბოროდინოს ველის სამხედრო გალერეა" (ბოროდინოს სამხედრო-ისტორიული მუზეუმი-ნაკრძალი). ეს ჯილდო თავად ბატონმა ალექსანდრემ გადასცა გამარჯვებულებს. იგი პროფესიით ისტორიკოსია, სამეცნიერო ხარისხიც აქვს, და მისთვის ბოროდინოს ბრძოლა ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა როგორც სამხედრო, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ბატონი ალექსანდრე უხვსიტყვაობით არ გამოირჩევა, თუმცა ამჯერად მან დამსწრეთ შეახსენა გენერალ პეტრე ბაგრატიონის გმირობის შესახებ, რომელიც ბოროდინოს ველზე დაეცა და ბაგრატიონის ბიოგრაფიიდან სხვა მრავალი ეპიზოდიც გაიხსენა. საბედნიეროდ ბაგრატიონის ძეგლი ჯერ კიდევ დგას თბილისში, თუმცა სამწუხაროდ ახალგაზრდობამ უკვე არც კი იცის, რომ მას თვით ნაპოლეონი ასხამდა ხოტბას, რომლის წინააღმდეგ სწორედ ჩვენი თანამემამულის მეთაურობით იბრძოდა არმია. წინაპართა მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა ყველა დაჯილდოებულის გამოსვლაში იგრძნობოდა.

**— რითი განსხვავდებოდა ეს ცერემონია ადრინდელი ცერემონიებისგან?**

— იგი ძირითადად ტრადიციული სცენარით წარიმართა, კონცერტითა და საზეიმო დარბაზობით, თუმცა ჩემთვის განსაკუთრებული პატივი იყო ტვერის ოლქის ქალაქ ტორჟოკის მიხეილის ტაძრის მღვდელმსახურებთან შეხვედრა. ალექსანდრე ებრალიძემ ამ ტაძრის რესტავრაცია დააფინანსა, ხოლო მისი შეკვეთით იაროსლავის ოლქში განსაკუთრებული ტექნოლოგიით ჩამოასხეს ზარი, რომელიც ტონანახევარზე მეტს იწონის. იგი ყველაზე მძლავრი ზარია ტორჟოკის ეკლესიათა ყველა ზარს შორის. ეკლესიებსა და მღვდელმსახურებს საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი საქართველოშიც უწევს დახმარებას.



**— რა სახის პოლიტიკურ პროექტებს ახორციელებს საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალი?**

— საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალი ოფიციალურად 2009 წლის სექტემბრიდან არსებობს და დღემდე ჩვენ პოლიტიკური ხასიათის არც ერთ პროექტში არ მიგვიღია მონაწილეობა, მით უმეტეს ახლა, როდესაც სათაო ორგანიზაციამ ძირითადი აქცენტი ჰუმანიტარულ პროექტებზე გადაიტანა, როგორც იქ, ისე საქართველოში. გასულ წელს ერეკლე მეორის საზოგადოებასთან ერთად ჩვენ განვახორციელეთ პროექტი „ცოდნა საუკეთესო ხიდია", რომლის ფარგლებშიც ათობით ახალგაზრდას უფასოდ ვასწავლიდით რუსულ და ქართულ ენებს. წლეულს ერეკლე მეორის საზოგადოებას ფონდმა „რუსკი მირ" გრანტი მისცა მხოლოდ რუსული ენის შესასწავლად. ქართული ენის შესწავლის მსურველი, შარშანდელთან შედარებით, უფრო მეტია. ბატონმა ალექსანდრემ თანხმობა მოგვცა დააფინანსოს ქართული ენის შემსწავლელი კურსები. სულ რამდენიმე დღეში ჩვენ გვექნება ამ კურსების პრეზენტაცია.

**— სულ ახლახან ჟურნალ „სარკეში" გამოქვეყნდა ძალზე „ძუნწი" ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ებრალიძესთან, სადაც იგი ამბობს, რომ მისი სურვილია, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობის მიღება, ხოლო შემდეგ — ბიზნესისა და პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელება საქართველოში. თუკი თქვენი ორგანიზაციის განვითარების აქცენტი ჰუმანიტარულ ვექტორზე კეთდება, მაშინ როგორღა მიაღწევს იგი წარმატებას პოლიტიკურ სარბიელზე?**

— ბატონმა ალექსანდრემ არაერთხელ აღნიშნა საჯაროდ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მას აგვისტოს ომის შედეგებმა აიძულა. იგი ამაყი, გაბედული და უნარიანი ადამიანია და მისი ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური სპექტრი მზად არ აღმოჩნდა მიეღო ძლიერი, პატიოსანი და მტკიცე მოთამაშე, მათ შორის არც ოპოზიცია. მე ვფიქრობ ამას ძირითადად ხელი შეუშალა იმ ფაქტორმა, რომ იგი არის ბიზნესმენი, მეცენატი და მოღვაწე რუსეთიდან. თუკი შეიძლება ფოტოგრაფებიც კი დაადანაშაულონ შპიონაჟში და რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, რა თქმა უნდა ბევრად უფრო ადვილი გახდა ყველაფრისთვის, რაც კი ალექსანდრე ებრალიძესთან იყო დაკავშირებული, „კრემლის" ელფერის მინიჭება. იგი კი, როგორც თვითონ წერს, მწვავედ განიცდის ყველაფერს, რაც მის სამშობლოში ხდება. დიახ, მას არ აძლევენ მოქალაქეობას, მაგრამ მას ვერავინ აუკრძალავს სამშობლოს სიყვარულს და სამშობლოს ბედ-იღბლის განცდას. რაც შეეხება მისი საქმიანობის წარმატებას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანიტარული პროექტები დიდი წარმატებით სარგებლობს და ორგანიზაცია თავის საქმიანობას სწორედ ამ მიმართულებით ავითარებს.

**— შეიძლება თუ არა თქვენი სიტყვებით ვივარაუდოთ, რომ ებრალიძე თავს ანებებს პოლიტიკას?**

— ზუსტი პასუხის გაცემა მე არ შემიძლია, თუმცა ფაქტია, რომ მოქალაქეობის გარეშე ვერ შეძლებს აქტიურად ჩაერთოს ქართულ პოლიტიკაში. იგი კი რეალური ადამიანია და ტყუილად არც ენერგიას დახარჯავს და არც ფინანსებს. ალბათ სწორედ ამიტომაც კეთდება აქცენტი ჰუმანიტარულ პროექტებზე, აქ კი მას ნამდვილად აქვს ხელშესახები წარმატება, როგორც რუსეთში, ისე სამშობლოში. თუმცა ესოდენ სერიოზულ კითხვაზე პასუხი ალბათ თავად მისგან უნდა მიიღოთ.

**ნიკო სამხარაძე**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი — კომფორტულ მომსახურებას"

უკვე მერამდენედ ვუბრუნდებით ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2010 წლის 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში დასმულ საკითხებს, მკითხველს შეიძლება სათვალავიც აერიოს. არადა იმ პუბლიკაციაში, აგრეთვე, „საქართველოს რესპუბლიკის" მომდევნო ნომრებში (14, 15, 20 ივლისი) დასტამბულ მკითხველთა გამოხმაურებებში საუბარი იყო იმ ფრიად აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემებზე, რომელთა გადაუჭრელობა აფერხებს ქვეყნის ავტოსატრანსპორტო სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებას.

2011 წლის 26 იანვარს გამოქვეყნებულ წერილში, სადაც რედაქცია ერთხელ კიდევ მიუბრუნდა ზემოხსენებულ საკითხს, ვწერდით, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ამ საქმეში საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის ჩართვა და სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსა და აკადემიის აქტიური თანამშრომლობით პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. ეს აკადემია ხომ სწორედ იმ მიზნით დაფუძნდა, რომ შეიმუშაოს და წარმოებაში დანერგოს საავტომობილო გადაზიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტების და დარგში დასაქმებულთა თანამდებობრივი მოვალეობებისა და ვალდებულებების ყოველმხრივ გააზრებული სტანდარტები, რომლებიც უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების შემდეგ სავალდებულო იქნება ყველასთვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

**როგორი თვალით შეხედეს ამ წინადადებას სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსა და საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის ხელმძღვანელებმა, რამდენად რეალურია მგზავრთა და საერთაშორისო რეგულარული გადაყვანების სფეროში მათი ურთიერთთანამშრომლობა და შედგა თუ არა ასეთი თანამშრომლობა, ამის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტს რაჟდენ კიკილაშვილს.**

— საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს მიხეილ ხმალაძეს ორჯერ მივმართე წერილით (№ 02-1, 22 ივნისი 2011 და № 02-2, 14 ივლისი 2011), სადაც აღვნიშნავდი, რომ „სრული ქაოსია გამეფებული მგზავრთა საქალაქთაშორისო რეგულარული გადაყვანის პროცესში, რის შედეგადაც ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე, უკმაყოფილონი არიან მგზავრები, ავტოსადგურების მუშაკები და გადამყვანები". იქვე შევნიშნავდი, რომ თუ სატრანსპორტო სააგენტოსა და ჩვენ აკადემიას შორის დაიდებოდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ავტოტრანსპორტის დარგში არსებული სერიოზული დარღვევების აღმოფხვრასა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

**— მერე, პასუხად რა მიიღეთ?**

— რა თქმა უნდა, თანხმობა: „სააგენტო მოხარული იქნება, — იწერება მიხეილ ხმალაძე, — თუ თქვენი აკადემია ჩაერთვება ჩვენს საქმიანობაში და წარმოადგენს დასაბუთებულ, კონკრეტულ წინადადებებს ტექნიკურ რეგლამენტებში: „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი" და „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები". გარდა ამისა, გვთხოვენ მივაწოდოთ ჩვენი მოსაზრებები იმის თაობაზეც, თუ რა საკანონმდებლო ცვლილებებია მისაღები დარგში, როგორც არსებული პრობლემების დაძლევის, ისე ინვესტიციების მოზიდვისა და მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით. ასეთი სურვილი მან გამოთქვა ჩემთან პირადი შეხვედრის დროსაც.

**— აბა, რაღა გიშლით ხელს, დაგიწყიათ თანამშრომლობა და ისაა.**

— საქმეც ეგ არის, რომ არ დაგვიწყია. ტრანსპორტის სააგენტოს აკადემიასთან დღემდე არ გაუფორმებია ხელშეკრულება, უამისოდ კი ვერავითარი თანამშრომლობა ვერ შედგება.

**— იქნებ კანონი არ აძლევთ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლებას?**

— როგორ არ აძლევთ, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დებულებით გათვალისწინებულია მისი დაფინანსების წყაროები, რომლის მიხედვითაც არსებული სახსრებიდან შემოსავლები მთლიანად უნდა მოხმარდეს სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. ასე რომ, მათ ამ მიზნების ხორცშესასხმელად სრული უფლება აქვთ ტრანსპორტის აკადემიასთან გააფორმონ ხელშეკრულება.

**მაშინ გაუგებარია, რატომ იკავებენ თავს ტრანსპორტის სააგენტოს მესვეურები ასეთი ხელშეკრულებისგან? არა მგონია, მათ საამისოდ რაიმე გონივრული მოტივაცია ჰქონდეთ. რეალობა ერთია: ტრანსპორტის აკადემია და სააგენტო რაც უფრო მალე გააფორმებენ ხელშეკრულებას და ერთობლივად ითანამშრომლებენ ავტოსატრანსპორტო პრობლემების დასაძლევად, მით უფრო სწრაფად გადაწყვეტენ დარგის წარმატების ბედს. ეს ფრიად საშური საქმეა და მის დროში გაწელვას თავადაც დრო არ გვაპატიებს.**

**ოთარ ხუციშვილი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**მისწრაფება აფხაზური სახელმწიფოებრიობისკენ გაისმის, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცინვა. მისი აღიარება გახდება ეთნიკური წმენდების საშინელ გამართლებად.**

# ფარსი აფხაზური დამოუკიდებლობით

აგვისტოში საქართველოს თვითგამოცხადებულ რეგიონ აფხაზეთში გაიმართა ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის არჩევნები. იმ ფაქტმა, რომ ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს ამ არჩევნების აღიარებაზე და არჩევნებს აბსოლუტურად უკანონო უწოდეს, ხელი არ შეუშალა აფხაზური „საქმის" მომხრეებს, გაეგრძელებინათ თავიანთი კამპანია აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების უზრუნველყოფისათვის. რუსეთის მინისტრებმა, რასაკვირველია, მაღალი შეფასება მისცეს კენჭისყრის მსვლელობასა და შედეგებს. მაგრამ საერთაშორისო გაერთიანებამ არ უნდა მისცეს მისი თავის სულელურ მდგომარეობაში ჩაყენების ნება.

აფხაზური რეჟიმი არსებობს მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ მას თავისი სამხედრო ძალით და ფინანსური მხარდაჭერით გვერდში უდგას რუსეთი. მსოფლიო გაერთიანებისთვის მოწოდებაში აფხაზეთის აღიარების შესახებ მეტად ხელსაყრელად არის გვერდი ავლილი იმ ვითარებისთვის, თუ როგორ შეიქმნა ეს რეჟიმი. იგი ხელისუფლებაში მოვიდა 1990-იან წლებში დაახლოებით 10 ათასი მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებით და უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში აფხაზეთიდან 300 ათასზე მეტი კაცის გამოდევნით.

საერთაშორისო სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ სამართლებრივი ხასიათი იმ მხეცობისა, რომელსაც ახორციელებდნენ აფხაზი ბოევიკები და მათი რუსეთელი მოკავშირეები. არავინ უნდა მოახდინოს ამ ფაქტების უგულებელყოფა, მათ უნდა იფიქრონ ამ რეგიონის მომავალზე, საიდანაც ძალისმიერი გზით გამოდევნეს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა.

1992-1993 წლების კონფლიქტმა და 2008 წელს რუსეთის შეჭრამ – არააფხაზი ეროვნების სამოქალაქო მოსახლეობის მუდმივ დაშინებასთან და დევნასთან ერთად – რადიკალურად შეცვალა აფხაზეთის დემოგრაფიული შემადგენლობა. მოსახლეობის საბჭოთა აღწერის მონაცემებით, 1989 წელს ეთნიკური აფხაზები შეადგენდნენ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის – 525 ათასი კაცის – 17,8 პროცენტს, ქართველები 45,7 პროცენტს. ან დაახლოებით 240 ათას კაცს. 2003 წლისთვის ქართული მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 81 პროცენტით ანუ 46 ათას კაცამდე (ისინი ძირითადად გალისა და ტყვარჩელის რაიონებში ცხოვრობენ), სომხებისა – 41 პროცენტით, რუსებისა – 69 პროცენტით, ბერძნებისა – 87 პროცენტით, სხვა ეროვნების წარმომადგენლებისა (უკრაინელები, ბელარუსები, ესტონელები, ებრაელები) – 81 პროცენტით.

ამავე დროს, აფხაზები იყვნენ ერთადერთი ეთნიკური ჯგუფი, რომლის რაოდენობაც ომამდელი 17 პროცენტიდან მთელი მოსახლეობის ნახევრამდე გაიზარდა. ის მკაცრი და აღმაშფოთებელი პროცესი, რის შედეგადაც ეს მოხდა, დაგმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელმაც ამ პროცესს ეთნიკური წმენდა უწოდა, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის




ორგანიზაციამ და ბევრმა სხვამ.

ქართული მხარე, რომელიც ასევე მონაწილეობდა 1990-იან წლებში გაჩაღებულ ომში, ძირითადად ლაშქრობის ფორმირებების სახით, ასევე მონაწილეობდა მხეცურ დანაშაულობებში. მაგრამ საქართველომ, როგორც სახელმწიფომ და ორგანიზაციამ, პასუხი აგებინა ამ დამნაშავეებს. ლაშქრობების რაზმები დაიშალა და აიკრძალა, მათი მეთაურები კი ციხეებში მოხვდნენ. არავითარი ამის მსგავსი რამ აფხაზეთის მხარეს არ მომხდარა. არავინ დაუსჯიათ და არც გაუსამართლებიათ, დამნაშავეებმა კი მიიღეს დიდება, ორდენები და სხვისთვის წართმეული საკუთრება. აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატებიდან არავის ულიარებია ეთნიკური წმენდები, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ დაგმობაზე.

ამ დროს, აფხაზეთის საქმის მომხრეებს შეუძლიათ დასვან მნიშვნელოვანი შეკითხვა: რატომ არ უნდა გამოიყენონ აფხაზეთის მიმართ კოსოვოს პრეცედენტი, რომელმაც მიიღო საერთაშორისო აღიარება სერბეთიდან ძალისმიერი გამოყოფის შემდეგ?

მაგრამ კოსოვოს პრეცედენტი (იქ აღიარების პროცესი ძნელად რომ იქნეს მიჩნეული უზადოდ) აფხაზეთის მიმართ მიუღებელია. უზარმაზარია სხვაობა ორ შემთხვევას შორის. ჯერ ერთი, ყველაზე საშინელი დანაშაულობები კოსოვოში სერბებმა ჩაიდინეს, რომლებიც გამოყოფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. აფხაზეთში კი ამ დანაშაულებს ახორციელებდნენ სეპარატისტები და მათი რუსეთელი მოკავშირეები. მეორეც, ლტოლვილთა კოსოვოში დაბრუნების უფლება იყო ამ მხარის თვითგამორკვევის უცილობელი პირობა. აფხაზეთში კი ეგრეთ წოდებული თვითგამორკვევა დაკავშირებულია უართან, ნება მისცენ იძულებით გადაადგილებულ პირებს თავიანთ სახლებში დაბრუნებისა.

თუ მარტივად ვილაპარაკებთ, კოსოვოს დამოუკიდებლობა იყო დასჯა ეთნიკური წმენდისთვის. აფხაზეთში კი დამოუკიდებლობის ასეთივე აღიარება გახდებოდა ეთნიკური წმენდების საშინელ გამართლებად და ჯილდოდ მათთვის, ვინც მას ახორციელებდა და ფიქრობდა ამაზე.

არის სხვა ასპექტებიც, რომელთა გამოც კოსოვოსთან პარალელის გავლება არ შეიძლება. ის პროცესები, რომლებმაც მიგვიყვანეს დამოუკიდებლობასთან და აღიარებასთან, ასევე კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აფხაზეთის ლიდერებმა რამდენჯერმე უარყვეს მშვიდობიანი გეგმები, რომლებიც მათ შესთავაზეს საქართველოს მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და გერმანიამ. კოსოვოს შემთხვევაში კი მშვიდობიან ძალისხმევას უარყოფდა სლობოდან მილოშევიჩის სერბული მთავრობა. ომის შემდეგ კოსოვო ცხრა წლის განმავლობაში გაეროს მმართველობის ქვეშ იყო, ვიდრე მისი დამოუკიდებლობა არ იქნა აღიარებული სახელმწიფოთა ფართო კოალიციის, მათ შორის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მიერ. აფხაზეთში კი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შესვლა აკრძალულია, ხოლო მისი ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობა აღიარეს მხოლოდ რუსეთმა და კიდევ სამმა არაევროპულმა სახელმწიფომ, რომლებსაც მოსკოვმა ფინანსური დახმარება გაუწია.

მაგრამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის უკანონობა აიხსნება არა მხოლოდ მსოფლიო გაერთიანების უარით აღიაროს მისი სუვერენიტეტი. იგი დაკავშირებულია უფრო ღრმა პრობლემებთან: აფხაზეთის ხელმძღვანელების წარსულ და ამჟამინდელ მოქმედებებთან, მათი ეთნიკური უპირატესობის იდეოლოგიასთან, აგრეთვე რუსეთის მიერ ამ ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციასთან.

აფხაზ ხალხს სჭირდება თანამშრომლობა ევროპასთან და იგი იმსახურებს იმას, რომ იყოს მსოფლიო გაერთიანების ნაწილი. მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს. არ შეიძლება აღიარო ეთნიკური წმენდების სისწორე, უგულებელყო საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ანექსია, აგრეთვე დაეთანხმო არჩევნებს, რომელიც მოეწყო ძირითადად საზოგადოების აპარტეიდზე, საიდანაც განდევნილია მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, იქ დარჩენილ ქართველთა უმრავლესობას კი არ აქვს ნება, მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

ამის ნაცვლად საერთაშორისო გაერთიანებამ დაჟინებით უნდა მოითხოვოს სრული შესრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმებისა, რომელიც დაიდო 2008 წელს საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით და რომელშიც აღნიშნულია პირობები რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ. შემდეგი ნაწილი უნდა გახდეს უშიშროების გარანტიები, რომლებიც მიანიჭეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის უფლება ადგილობრივ გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ.

ნებისმიერი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი და ფასეული მოქმედებანი იქნება ის, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები აფხაზეთში მოსროლილია ნაგვის ყუთში. და ნებისმიერი არჩევნები, რომელიც განხორციელდება ძალადობით განდევნილი ხალხის დაბრუნებამდე, ეს არის ტრაგიკული ფარსი, თუ მეტი არაფერი.

**FP**
Foreign Policy

## დედამიწის ზურგზე



**უმართავი ამერიკული თანამგზავრი, რომელიც დედამიწაზე ჩამოვარდება 23 სექტემბერს, გადაიღეს ვიდეოზე**

სპეციალისტებს დღემდე არ შეუძლიათ განსაზღვრონ ჩამოვარდნის არც ზუსტი დრო, არც ადგილი, სადაც ჩამოცვივდება ექვსტონიანი კოსმოსური ობიექტის ნაწილები. ვიდეოზე, რომელიც ასტროფოტოგრაფმა ტიერი ლეგომ საფრანგეთის ჩრდილოეთში გადაიღო, ამჟამად დაახლოებით 250 კილომეტრის სიმაღლეზე მყოფი თანამგზავრი წარმოგვიჩნდება მანათობელ ლითონის საგნად, ნელა რომ მოძრაობს შავ ცაზე.

* * *

**ობამამ განაცხადა, რომ პალესტინის გაეროში მიღებაზე დაადებს ვეტოს**



ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ, დაადოს ვეტო გაეროს უშიშროების საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას პალესტინის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, ობამამ განაცხადა მაჰმუდ აბასთან შეხვედრის დროს. აბასმა კი თქვა, რომ კვლავაც იბრძოლებს დამოუკიდებლობის მიღწევისთვის, თუმცა შეარბილა პოზიცია – თავდაპირველად საკითხს განიხილავს გაეროს უშიშროების საბჭო.

* * *

**ატლანტიკაში ძალას იკრებს ტროპიკული გრიგალი „ოფელია"**



ეპიცენტრში ქარის სიჩქარე საათში 95 კილომეტრს აღწევს. 02:2-ის მდგომარეობით „ოფელია" მცირე ანტილის კუნძულებიდან 1850 კილომეტრით აღმოსავლეთისკენაა. კუბელი მეტეოროლოგები ელოდებიან, რომ უახლოესი ორი დღე-ღამის განმავლობაში გრიგალი განაგრძობს მოძრაობას ამ მიმართულებით.

* * *

**აშშ-ის ქვედა პალატამ მოულოდნელად უარყო პროექტი მთავრობის დაფინანსების შესახებ**

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ამჟამინდელმა მცდელობამ, მიელოთ ასეთი დოკუმენტი, კრახი განიცადა. დემოკრატების განზრახვასთან დაკავშირებით, რომ არ დაუჭირონ მხარი მასში გათვალისწინებულ იმ კომპანიების დაფინანსების შემცირებას, რომლებიც ქმნიან ენერგოეფექტურ ავტომობილებს.



## იმდროინდელი ანეკდოტები

ექსკურსია კრეისერ „ავრორაზე".
ერთი დაინტერესდა:
– თქვენთან რატომ დგას გუშაგი?
– ვინმე გამოქლიავებულმა კიდევ რომ არ ისროლოს.

* * *

– მამი, საიდან ჩნდებიან ბავშვები?
– ისინი წეროს მოჰყავს.
– ეგ რომელია, გრძელცხვირიანი?
– ხო.
– ეგ ის არ არის, სამხრეთში რომ ცხოვრობს?
– დიახ.
– ის ჩვენთან იყო, შენ რომ მივლინებაში იყავი.

* * *

– სასწრაფოა? დაუყოვნებლივ მოდით, ჩვენმა მეგობარმა „შტოპორი" გადაყლაპა.
ათი წუთის შემდეგ:
– სასწრაფო! ყველაფერი რიგზეა. ჩვენ ვიპოვეთ სხვა „შტოპორი"

* * *

ანდროპოვის პერიოდია.
ერთ საწარმოში აგვიანებს თანამშრომელი, ურეკავენ სახლში. ტელეფონთან მიდის მისი ცოლი.
– რა მოხდა? რატომ აგვიანებს სამსახურში თქვენი მეუღლე?
– გარდაიცვალა, – უპასუხებს აცრემლებული ცოლი.
– მადლობა ღმერთს, ჩვენ კი გვეგონა, რომ აგვიანებდა.

* * *

– დადის ხმები, რომ ხორცი აღარ იქნება.
ანდროპოვი: ხორცის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ხმები რომ აღარ იქნება, ამას გპირდებით.

* * *

დგას ვეებერთელა რიგი არაყზე. ერთმა კარგა ხანს უკმაყოფილოდ იბუზღუნა და ბოლოს თქვა:
– წავალ ცკ-ში და დავუმტვრევ იმ გორბაჩოვს თავ-პირს.
მართლაც წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა. ყველანი მისცვივდნენ.
– რა ქენი?
– ეეხ! იქაც ისეთივე რიგი დამხვდა.

შეარჩია
რევაზ ტყემალაძემ

# წარსულის დიდი მესაიდუმლე

## ოთარ ჯაფარიძე – 90

**ამჟამინდელ საქართველოში თუკი ვინმეს ისტორიულ მეცნიერებასთან, კერძოდ არქეოლოგიასთან, ჰქონია საქმე, გვერდს ვერ აუვლიდა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ოთარ ჯაფარიძეს.**

ოთარ ჯაფარიძე ტიპოლოგიურად ყველა მეცნიერისაგან განსხვავებულია. მან იცხოვრა ქალაქური ცხოვრებით (იგი სახელგანთქმული უბნის ვერის მკვიდრი იყო), მისდევდა სპორტს, უყვარდა თავისი ქალაქი და მეგობრები და ღრმად განათლებული ზედმიწევნით ბევრს მუშაობდა, იკვლევდა წარსულს – თხრიდა, აღმოაჩენდა, შეისწავლიდა და აზოგადებდა. ამის ნათელი დასტურია მისი მონოგრაფიები თუ ცალკეული ნარკვევები.

და აი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ჯაფარიძე 90 წლის შესრულდა ...90 წელი ღირსებით, კაცურად გავლილი ცხოვრებისა. იგი 1921 წლის 16 სექტემბერს დაიბადა თბილისში, მიხეილ ჯაფარიძის ოჯახში. ჯაფარიძეები გამოჩინებული გვარია საქართველოში, განსაკუთრებით რაჭაში. ბატონი ოთარის წინაპრები სოფ. ხირხონისში ცხოვრობდნენ. აქ დღესაც დგას სახლი (სამწუხაროდ, მიტოვებული), სადაც ჩვენს იუბილარს ძლიერ უყვარდა ყოფნა. ბაბუა ოთარ ჯაფარიძისა, დიდი (ასე უწოდებდნენ მას) სიმონ ჯაფარიძე, რაჭის თავადაზნაურობის წინამძღოლი (მარშალი) იყო.

ოთარ ჯაფარიძე 1929 წელს შედის თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. ამავე წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. თანაკლასელები და თანაკურსელები ბატონ ოთარს ახასიათებენ, როგორც მკვირცხლ, იმდროინდელ თბილისის ახალგაზრდობაში მიღებულ და ავტორიტეტულ პიროვნებას. მასთან ურთიერთობა, მეგობრობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მისი ტოლებისათვის საპატიო იყო. 1943 წელს ოთარ ჯაფარიძე ამთავრებს უნივერსიტეტს და ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში არქეოლოგიის სპეციალობით, სადაც იგი პროფესორ გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ამ მეტად საინტერესო, ამასთან რთულ პროფესიას. 1944 წელს ბატონი ოთარი ასპირანტურის პარალელურად მუშაობას იწყებს ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1946 წელს დაამთავრა ასპირანტურა. 1948 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იმავე წლიდან გადაიყვანეს მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1951 წელს სამუშაოდ გადადის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად არქეოლოგიის განყოფილებაში.

1952 წელს მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის კათედრაზე. ერთი თვის შემდეგ იგი ამავე კათედრის დოცენტად აირჩიეს.

1962 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1963 წლიდან იგი უკვე პროფესორია. 1967 წელს ცალკე შეიქმნა არქეოლოგიის კათედრა, რომელსაც ითარ ჯაფარიძე ჩაუდგა სათავეში და 40 წლის განმავლობაში 2007 წლამდე განაგებდა მას. შეთავსებით 1968-82 წლებში მუზეუმში მუშაობდა უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1982 წლიდან კი უნივერსიტეტის პარალელურად მუშაობას იწყებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ნახევარ საშტატო ერთეულზე.

ოთარ ჯაფარიძის მეცნიერული შემოქმედება მეტად მდიდარია. მისი ნაშრომები უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევისადმია მიძღვნილი. შემთხვევითი არ არის, რომ ოთარ ჯაფარიძე აღიარებულია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს ფარგალი მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირით არ იზღუდება.

რამ განაპირობა ოთარ ჯაფარიძის ეს საყოველთაო აღიარება?

ესაა პრობლემის ფართოდ დასმისა და მისი ღრმად შესწავლის უნარი.

მეცნიერის ყველა კვლევა, მონოგრაფიაა იგი თუ ცალკე სტატია, ახალი სიტყვაა ზოგადად ისტორიაში და კერძოდ არქეოლოგიაში.

ოთარ ჯაფარიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობა კოლხური კულტურის შესწავლით დაიწყო. რას ნიშნავს არქეოლოგების თვალით დანახული კოლხური კულტურა? თვით ტერმინი „კოლხური კულტურა“ პირველად აკად. ს.ჯანაშიამ გამოიყენა. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა ე.წ. „ყობანის კულტურის“ სახელით ცნობილი ცენტრალური, იმიერ და ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთათვის დამახასიათებელი იყო ერთგვაროვანი (თავისებური ფორმის) ბრინჯაოს ცულები.



ასე რომ კულტურა, რომელიც მეცნიერთა ერთ ჯგუფს ერთგვაროვნად ეჩვენებოდა (ზოგჯერ დავაც მიდიოდა, რა ეწოდებინათ მისთვის კოლხური თუ ყობანური), აღმოჩნდა სხვადასხვა – ორი კულტურა.

ოთარ ჯაფარიძის დამსახურება მხოლოდ ის არ არის, რომ ამ კულტურებს თავისი კონკრეტული შინაარსი მისცა და გამიჯნა ერთმანეთისგან. მეცნიერმა განსაზღვრა კულტურათა არსი, მათი გავრცელების არეალი, საწარმოო ცენტრები, ქრონოლოგია და სხვ.

ოთარ ჯაფარიძე აქტიურ გამთხრელობით საქმიანობას ეწევა. იკვლევს ბრინჯაოს კულტურის ადრეულ ფენებს. ბრწყინვალე მასალა იქნა მოპოვებული ქვასათალში, ძალინაში, ნულში (შიდა ქართლი), ცარცის გორაზე, ნაჩერქეზევში, ქორეთში, კარახტანში (საჩხერის რაიონი), აფხაზეთის დოლმენებში, თეთრ წყაროში, ტაბაწყურსა და ზურტაკეტში (თრიალეთი). ოთარ ჯაფარიძისთვის დამახასიათებელია საოცარი ოპერატიულობა – მან დროულად გამოაქვეყნა ინფორმაციები ახლად აღმოჩენილი სხვადასხვა მასალების შესახებ. ამით ხელი შეუწყო მის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანას.

აქვე არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ, რომ მის ნაშრომებში შეჯამებული და განზოგადებულია მეცნიერული ცოდნა კავკასიის ადრეული და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია ოთარ ჯაფარიძის მონოგრაფიები: „ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში“ (თბ., 1955 წ.) და „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრინდელ საფეხურზე“ (1961 წ.). ამ მონოგრაფიებში (ისინი ერთმანეთს ავსებენ) განხილული პრობლემების წრე ფართოა.

იგი კავკასიის ადრებრინჯაოს კულტურების თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. ო.ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა მტკვარ-არაქსის, ენეოლითის და ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლების ერთგვარობას. აღნიშნავს სხვაობასაც.

ოთარ ჯაფარიძემ რეალურად აჩვენა, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ცალკეული კულტურები ჩამოყალიბდა; რომ შიდა ქართლის ძეგლები საკმაოდ განსხვავებული არიან სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებისაგან. მეცნიერმა წარმოაჩინა თითოეული მასალის ლოკალური თავისებურებები, შინაგანი დინამიკა. მანვე მოგვცა ამ ძეგლების შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია. ო.ჯაფარიძის წამოყენებული დებულებები შესანიშნავად დაადასტურა შემდგომმა მრავალფენიანი ძეგლების გათხრებმა. მტკვარ-არაქსის კულტურა (III ათასწლეული) ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელს კავკასიაში. იგი სამხრეთითაც იჭრება. ო.ჯაფარიძის ვარაუდით, ამ კულტურის მატარებელ ტომებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ წინა აზიაშიც. მისივე აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი ქართველურ ეთნიკურ ელემენტს უნდა შეესრულებინა.

ოთარ ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“ მეცნიერებმა საეტაპოდ მიიჩნიეს კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში. წიგნი საუნივერსიტეტო პრემიით დაჯილდოვდა. სწორედ ამ პრობლემაზე დაიცვა ბატონმა ოთარმა დისერტაცია და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ოთარ ჯაფარიძის მეცნიერულ შემოქმედებაში შუაბრინჯაოს ხანის, ე.წ. თრიალეთური კულტურის კვლევა. იღბლიანი აღმოჩნდა თრიალეთის ყორღანები. ძვირფასი მასალა იქნა აქ მოპოვებული. ოთარ ჯაფარიძემ ცალკეული სტატიები და ორი მონოგრაფია მიუძღვნა. 1960 წელს გამოიცა მონოგრაფია „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. აქ მოცემულია 1957-58 წლებში თრიალეთში ჩატარებული გათხრების ანგარიში. ყორღანები თრიალეთსა და ტაბაწყურში შუა ბრინჯაოს ხანის მეტად საინტერესო მასალას შეიცავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ხის ეტლი. ამგვარად დაცული ეტლი პირველად აღმოჩნდა (ცნობისათვის გვინდა დავასახელოთ, რომ 1939 წ. არქეოლოგმა ბ.კუფტინმა თრიალეთის ერთ-ერთ ყორღანში დაახლოებით ასეთივე ოთხთვალა აღმოაჩინა). ო.ჯაფარიძემ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა საქართველოში ბორბლიანი ტრანსპორტის შემოსვლისა და განვითარების შესახებ. ამასთან მიიჩნია, რომ თრიალეთის კულტურა უშუალოდაა დაკავშირებული ადრეული ბრინჯაოს კულტურასთან.

თრიალეთური ყორღანების კულტურას ბევრი საერთო აქვს წინა აზიისა და ევროპის იმავე პერიოდის კულტურებთან. ამიტომ რთულია ამ კულტურის რომელიმე ეთნიკური ჯგუფისათვის მიკუთვნება. ზოგი მკვლევარი მას ხურიტებს აკუთვნებს, ზოგი ხეთებს, ზოგადად ინდოევროპელებს. მეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესი ამ კულტურისადმი განაპირობა სამარხთა გრანდიოზულობამ, მაღალი ხელოვნებით შესრულებულმა ოქროს და ვერცხლის სამკაულებმა, დახვეწილი ფორმის, ხატიფ ორნამენტიანმა შავპრიალა და მოხატულმა თიხის ჭურჭელმა, თასებმა, სასმისებმა და სხვ. ოთარ ჯაფარიძის დებულებას, რომ საქართველოში შუა ბრინჯაოს კულტურა გავრცელებული ადრებრინჯაოს კულტურისგან იღებს სათავეს, უფრო ვრცელი და ფართო დასაბუთება აქვს 1969 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. აქ წარმოდგენილია გომარეთის პლატოზე, ზურტაკეტში გათხრილი ყორღანების მასალა თავიანთი დასაკრძალავი დარბაზებით, მშენებლობის ტექნიკით, მაგიურ-რიტუალური თუ პიქტოგრაფიული ნიშნებით. ყოველივე ეს ძვირფას მასალას გვაძლევს თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური სტრუქტურის დასადგენად. ო.ჯაფარიძის დასკვნით, დიდი ყორღანები ტომის ბელადებს ეკუთვნოდა. მომცრო ყორღანები კი ცალკეული გვარის ბელადების ან დაწინაურებულ წევრთა სამარხებს წარმოადგენს.

წიგნში საგანგებოდაა განხილული თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხეული ინვენტარი. სრულიად ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კერამიკულ ნაწარმს. სწორედ კერამიკული მასალის საშუალებით ხდება კულტურათა ასაკისა და წარმომავლობის განსაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ ეს მასალა შეჯამებულია კავკასიისა და წინააზიის იმავე პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებთან. სწორედ კვლევის ეს მეთოდი აძლევს საშუალებას ოთარ ჯაფარიძეს გამოჰყოს, ერთი მხრივ, თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკული და ლითონის ნაწარმის ძირითადი ტიპები, მეორე მხრივ, მათი დამზადების ტექნიკაში, ფორმებსა და შემკულობაში განსაზღვროს ის ნიშნები, რომლებითაც ეს კულტურა ენათესავება სხვა თანადროულ თუ წინარე კულტურებს.

ო.ჯაფარიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მიუხედავად თრიალეთის კულტურის მეტად გამორჩეული იერისა, იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს წინარე პერიოდში კავკასიაში გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან. მსგავსება შეიმჩნევა კერამიკის დამზადების ტექნიკაში, ორნამენტში. როგორც ჩანს, თრიალეთის კულტურა წინააზიური კულტურების გარკვეულ გავლენას განიცდიდა, თუმცა იგი აღმოცენებულია ადგილობრივ ნიადაგზე.

თრიალეთის კულტურა, როგორც ო.ჯაფარიძე მიიჩნევს, უნდა წარმოშობილიყო ცენტრალურ კავკასიაში (შიდა ქართლი, ქართლის ვაკე, თრიალეთი) ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ბაზაზე, წინააზიურ კულტურასთან შერწყმის გზით.

ო.ჯაფარიძის ეს დებულება აშკარად დაადასტურა მესხეთ-ჯავახეთში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, სადაც მეცნიერმა გამოავლინა თრიალეთური კულტურის ახალი კერა. მესხეთ-ჯავახეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა აშკარად მტკვარ-არაქსულია, ე.ი. უფრო ადგილობრივია. მესხეთ-ჯავახეთის აღმოჩენებს მეცნიერმა მიუძღვნა საინტერესო ნაშრომი „მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“.

უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვის ეკუთვნის თრიალეთური კულტურა. გასაკვირი არ არის, რომ ამ საკითხზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ოთარ ჯაფარიძე დეტალურად განიხილავს ყველა მოსაზრებას, არჩევს ამ მოსაზრებათა დამადასტურებელ თუ უარმყოფელ საბუთებს, ლინგვისტურ და თუ ანთროპოლოგიურ მონაცემებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასკვნის, რომ რადგანაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები უმთავრესად დამოწმებულია შიდა და ქვემო ქართლში, აქვეა დადასტურებული თრიალეთის კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი, ამიტომ ქართველურ ტომებს არსებითი როლი უნდა მიენიჭოს ამ კულტურების ჩამოყალიბებაში.

ოთარ ჯაფარიძემ მოგვცა თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურის ახალი პერიოდიზაცია, განსხვავებული ბორის კუფტინისეულისაგან — ეს კულტურა ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის მეორე ნახევრით დაათარიღა. სრულიად გამართლებულია, რომ ოთარ ჯაფარიძის ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში" ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ის იყო ამ პრემიის პირველი ლაურეატი.

ოთარ ჯაფარიძის მეცნიერული ინტერესები მხოლოდ ბრინჯაოს ხანით არ იფარგლება. მისი ნაშრომები ეხება ანტიკური და ფეოდალური პერიოდის ძეგლებსაც. ოთარ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ადრესამიწათმოქმედო ძეგლების კვლევას. ექსპედიციამ შეიმუშავა ძეგლების არქეოლოგიური გათხრის მეთოდი და მკაცრი მეცნიერული მეთოდოლოგიით შეისწავლა ისინი. ექსპედიციის პირველივე ანგარიშები მეცნიერთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მათში გახსნილია ძეგლების ხასიათი, მათი განვითარების დინამიკა, მეურნეობის დონე, სტრატიგრაფიულ ფენათა მონაცვლეობა; დათარიღებულია შესაძლო სიზუსტით. ეს საკითხები ფართოდაა განხილული კოლექტიურ ნაშრომში „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები" (1965-1971 წწ.). ოთარ ჯაფარიძემ ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად სათავე დაუდო კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურების შესწავლას. მათი ნაშრომი „უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე" მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია.

განსაკუთრებულადაა აღსანიშნავი, რომ ოთარ ჯაფარიძე საგანგებოდ იკვლევს ეთნოგენეზის პრობლემებს. მის ნაშრომში „ქართველ ტომთა ეთნიკური საკითხისათვის", არქეოლოგიური მასალის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე, ყურადღებაა გამახვილებული კავკასიაში ადამიანთა საზოგადოების ჩასახვა-ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების პროცესზე. სავარაუდოა, რომ კავკასიაში უძველესი ეთნიკური და კულტურული ერთობა არსებობდა, შემდგომში კი ეს ერთობა დაიშალა და კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები ჩამოყალიბდა. ოთარ ჯაფარიძის აზრით, კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი VI-V ათასწლეულში უნდა დამთავრებულიყო. ოთარ ჯაფარიძე იყენებს ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემებს და დაასკვნის, რომ ქართველურ ტომებს ამ დროისათვის ძირითადად ამიერკავკასიის დასავლეთ და მისი ცენტრალური ტერიტორია ეკავათ.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ კავკასიაში III ათასწლეულში ორი დიდი კულტურა ყალიბდება: მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის. განხილულია ამ კულტურათა წარმომავლობის, მათი გავრცელებისა და სხვ. საკითხები. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს კულტურა ხურიურარტული და ქართველური ტომებისა უნდა იყოს. იგი ამ კულტურის მატარებლების ინდოევროპულებად გამოცხადების წინააღმდეგია.

ოთარ ჯაფარიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის შესწავლას. მან ქიმიკოსებთან თანამშრომლობით გამოსცა წიგნი „სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში". აქ მოცემულია საქართველოში უძველესი მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების პროცესი ენეოლითიდან ადრეული რკინის ხანამდე. ნაშრომში არაერთი სიახლეა და საინტერესო დასკვნაა მეტალურგიის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია 2006 წელს გამოცემული ოთარ ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან".

თავს ნებას მივცემ, რომ, კიდევ ბევრი სათქმელის არსებობის მიუხედავად, აქ დავსვა წერტილი ოთარ ჯაფარიძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე.

რაც შეეხება მის პიროვნებას, ეს სრულიად ცალკე საკითხია. ოთარ ჯაფარიძე გასაოცარი ადამიანური ხიბლითაა შემკული, შეიძლება ითქვას, რომ ქარიზმატული პიროვნებაა. იგი თავისი ქცევით აყვარებს თავს ადამიანებს. ალბათ ცხოვრებაში არ გამოუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ბიჭობა ღირსეულად, შეუშლელად გაატარა, ყმაწვილკაცობაში ყოველთვის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თანატოლებში. იგი სტუდენტთა საყვარელი ლექტორია. მისი სიტყვა ავტორიტეტულია და გასათვალისწინებელი. მეგობრობაში გამტანია და ყველას მიმართ კეთილგანწყობილი. ერთი სიტყვით, იგი ჭეშმარიტი ვაჟკაცია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.



ცალკე მინდა აღვნიშნო ოთარ ჯაფარიძის მეცნიერული კეთილსინდისიერების შესახებ. იგი ამ მხრივაც სამაგალითოა — აუცილებელ სიფრთხილეს იჩენს მოტანილი, ციტირებული მასალის მიმართ, საჭირო შემთხვევაში არ გამორჩება, მოცემული იდეის ავტორის ხსენება. იგი იყენებს კვლევის ყოველ მეთოდს, სხვა მეცნიერულ დისციპლინებს (ლინგვისტიკა, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ქიმია და სხვ.). მოაქვს ყოველი საბუთი, ფართოდ სარგებლობს პარალელური თუ ანალოგიური მასალით, სწორედ ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ოთარ ჯაფარიძის ყოველი მოხსენება დამაჯერებელია და აღიარებას პოულობს.

ოთარ ჯაფარიძე იმ მკვლევართა რიგშია, რომლებიც ტონს აძლევენ და მიმართულებას განსაზღვრავენ მეცნიერებაში.

**როინ მეტრეველი,**
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

კოლორიტი

# ცოცხალი ლეგენდა

**ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ისტორია სისხლით დაწერილი ისტორიაა. ეს არის ისტორია სულით და ხორცით ძლიერი ადამიანებისა, რომელთა შორის ბატონ ვახტანგ ჯაფარიძეს, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ უმაღლესი რანგის პროფესიონალს და ლეგენდარულ პიროვნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია.**



ვინც მას იცნობს და ჰქონდა ბედნიერება მასთან ემუშავა, ვისაც უგრძვნია მისი გულის სითბო, გაჭირვებისას მისი გვერდზე დგომის საოცარი უნარი, სიმამაცე და სიმხნევე, საქმისადმი თავდადება და ოპერატიულობა, ამასთან სიდინჯე და ცივი გონებით განსჯის უნარი, დამეთანხმება, რომ ამ რაინდული სულის ადამიანმა ღირსეულად განვლო სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გამავალი ხიფათით აღსავსე ცხოვრებისეული გზა. ეს გზა კი, მშვიდობიანი პროფესიის მქონე ახალგაზრდა კაცმა შეგნებულად აირჩია და რიგითი ოპერატიული მუშაკიდან რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი გახდა.

მე მქონდა ბედნიერება მემუშავა ბატონი ვახტანგის გვერდით და ამდენად მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალს პირველწყაროდან ვიცნობ.

იგი 1921 წლის 21 სექტემბერს დაიბადა რაჭის ულამაზეს სოფელ შარდომეთში. 20 წლის ყმაწვილმა მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა და დაჭრის შედეგად დაინვალიდებაც მოასწრო, მაგრამ ბედს არ შეეგუა, ჯანმრთელობაც აღიდგინა, იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა და 1949 წლიდან იტვირთა ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წარმოების ურთულესი მისია.

მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გახსნილ ურთულეს სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მის აღწერას ერთი სქელტანიანი წიგნიც კი არ ეყოფა.

და მაინც, ბატონ ვახტანგ ჯაფარიძის მიერ თეატრალური გრიმითა და მაღალი აქტიორული ოსტატობით სვანეთში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიება, რომელიც ყველა პროგნოზის მიუხედავად უსისხლოდ ჩატარდა, დღემდე მიიჩნევა ოპერატიული საქმიანობის უმაღლეს მიღწევად.

მაშ ასე — ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე 90 წლისაა.

90 წელი კი, არც მეტი არც ნაკლები, 32 800 დღე, 788 400 საათი და 47 304 000 წუთია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბატონ ვახტანგს დღემდე არც ერთი დღე, საათი და წუთი არ გაუტარებია მუხლჩაუხრელი შრომის, ყველა ჯურის დამნაშავესთან უკომპრომისო ბრძოლის და მამულზე ფიქრის გარეშე, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი უპირველესად დიდი პროფესიონალია, არჩეული საქმის ერთგულია, ჭეშმარიტი მამულიშვილია და რაც მთავარია დიდებული ბაბუა, მამა და ლამაზი ოჯახის უფროსია.

ბედნიერება, ჯანმრთელობა და სიკეთე ვუსურვოთ ბატონ ვახტანგს!

სათქმელი რაც დამრჩა, 100 წლის იუბილეზე მოვახსენებ!

**ნუგზარ ძავთარაძე,**
იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.

ინფორმაცია

## „საქპატენტი" ქართული დასახელებების დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

„საქპატენტი" ახალი ქართული დასახელებების დაცვასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს. „საქპატენტის" საგანგებო განცხადებაში განმარტებულია უზუსტობები, რომლებიც ამ უწყების ინფორმაციით, ბოლო პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა.

კერძოდ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი განმარტავს, რომ 2011 წლის 30 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე, „საქპატენტმა" დაიწყო 3 ახალი ადგილწარმოშობის დასახელებისა და 16 გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის (და არა „ბრენდების" და „პატენტების", როგორც ამას არასწორად მიუთითებენ მასმედიის წარმომადგენლები) პროცედურა. შესაბამისად, საქპატენტში უკვე რეგისტრირებული 18 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების გათვალისწინებით, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ნუსხა 37-მდე გაიზარდა.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადში ადგილწარმოშობის დასახელებებად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია მინერალური წყლები: „ბორჯომი", „ნაბეღლავი", „საირმე", ბოლო გეოგრაფიულ აღნიშვნებად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია დასახელებები: „თუშური გუდა", „იმერული ყველი", „კობი", „სვანური სულგუნი", „ჩოგი", „მაწონი", „მეგრული სულგუნი", „სულგუნი", „გუდა", „ქართული ყველი", „ტენილი", „დამბალხაჭო", „აჭარული ჩეჩილი", „მესხური ჩეჩილი", „ჩურჩხელა" და „ჭაჭა", - ნათქვამია „საქპატენტის" განცხადებაში.

„საქპატენტმა" ასევე, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სია, არსებული ორმხრივი შეთანხმებების ფარგლებში, მათ ტერიტორიაზე აღიარებისა და დაცვის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, უკვე გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ევროკავშირის შესაბამის უწყებებს.

## რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტი დროებით შეწყდა

საქართველოს გავლით, რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტი გუშინ დროებით შეწყდა. გაზის მიწოდების დროებითი შეწყვეტის მიზეზი თბილისის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოებია, რომლის დროსაც, მაგისტრალური გაზსადენის ახალი მონაკვეთი აშენდა.

ახალი მონაკვეთის შეჭრით სამუშაოებს, რომელიც 4-5 დღეს გაგრძელდება, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია აწარმოებს. სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტი ყაზახ-საგურამოს 1000 მმ-იან მაგისტრალურ გაზსადენზე შეჭრით სამუშაოების დასრულებისთანავე განახლდება. შეჭრითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ სომხური მხარე ინფორმირებულია.

ჯი-ეიჩ-ენ

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებული ზოგიერთი აუქციონის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე" საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 22 სექტემბრის №13/391 ბრძანების საფუძველზე შემდეგ ობიექტებზე აუქციონი გამოცხადდა ჩაშლილად და შესაბამისად განცხადებების მიღება შეწყდა.

| ობიექტის № | ქალაქი, მუნიციპალიტეტი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20 % (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეჟბადინი | მდ. ხრამზე „ლეჟბადინის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 296 100 მ³ | 39 703 | 7 940,60 |
| 12 | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყიზილაჯლო | „ყიზილაჯლოს" ბაზალტის გამოვლინება | P | 10 წელი | 42 500 მ³ | 10 000 | 2 000 |
| 14 | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხრამუხა | „ცხრამუხის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 19 500 მ³ | 2 614,70 | 523 |

**X,Y კოორდინატები ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ**

| 1 | | | 12 | | | 14 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | x | y | № | x | y | № | x | y |
| 1 | 497750 | 4579896 | 1 | 477418 | 4594928 | 1 | 382016 | 4647047 |
| 2 | 497938 | 4579888 | 2 | 477479 | 4594892 | 2 | 382169 | 4647098 |
| 3 | 498110 | 4579743 | 3 | 477435 | 4594812 | 3 | 382158 | 46417046 |
| 4 | 498245 | 4579568 | 4 | 477345 | 4594811 | 4 | 382123 | 4647006 |
| 5 | 498045 | 4579538 | | | | | | |
| 6 | 497973 | 4579606 | | | | | | |
| 7 | 497792 | 4579665 | | | | | | |
| 8 | 497745 | 459836 | | | | | | |

| ობიექტის № | ქალაქი, მუნიციპალიტეტი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20 % (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. იჯარეთი | „კოტატბის" ანდეზიტო-ბაზალტის (საღორღე) გამოვლინება | P | 5 წელი | 69 000 მ³ | 10 000 | 2 000 |

**X,Y კოორდინატები ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ**

| 11 | | |
|---|---|---|
| № | X | Y |
| 1 | 302903 | 4609460 |
| 2 | 302978 | 4609590 |
| 3 | 303078 | 4609590 |
| 4 | 303016 | 4609460 |

## ინფორმაცია

### ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში სპექტაკლები აღარ იდგმება

სოფიკო ჭიაურელისა და კოტე მახარაძის მიერ დაარსებულ „ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში", დაფინანსების შეწყვეტის გამო, სპექტაკლები აღარ იდგმება. როგორც „ჯი-ეიჩ-ენს" თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკუშა შენგელაიამ განუცხადა, მერიის დაფინანსების შეწყვეტა თეატრის იურიდიული სტატუსის არარსებობიდან გამომდინარეობს.

„არანაირი დაფინანსება არ გვაქვს, არ არის გათბობა და ის პირობები, რომ სპექტაკლები დაიდგას. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტი ვერ აფინანსებს, იმიტომ რომ ეს კერძოა და არ შედის მათ საკუთრებაში. კერძო სტრუქტურებს კი თეატრის დაფინანსებას ვერ მოსთხოვ", – აღნიშნა „ჯი-ეიჩ-ენთან" შენგელაიამ.

შეგახსენებთ, რომ თეატრს ფინანსური პრობლემები 2010 წლის თებერვალში შეექმნა, როდესაც მერიამ დაფინანსება შეუწყვიტა, მიზეზად კი თეატრის იურიდიული სტატუსის არარსებობა დასახელდა.

„თეატრის საარსებოდ, სულ ცოტა, თვეში 90-100 ათასი ლარია საჭირო, ამაში შედის თანამშრომელთა ხელფასები, სპექტაკლების დაფინანსება. თბილისის მერიას არ აქვს უფლება, დააფინანსოს თეატრი, თუ ის მის ბალანსზე არ არის და მასთან გაფორმებული არ არის ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, თეატრში მუშაობა შეწყვეტილია და ვერ ვდგამთ სპექტაკლებს", — აცხადებს შენგელაია.

თეატრს ნიკუშა შენგელაია სოფიკო ჭიაურელის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობს.

### ზუგდიდის რაიონის სოფელ ფორსაში უძველესი ნასახლარი აღმოაჩინეს

სოხუმის უნივერსიტეტისა და გერმანიის საექსპედიციო ჯგუფები სწავლობენ ნასახლარს, რათა დაადგინონ რა პერიოდს განეკუთვნება ნასახლარი და იქ აღმოჩენილი ექსპონატები, მათ შორის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბათქაშები და სხვადასხვა ნაკეთობები. სპეციალისტების განცხადებით, ჭურჭლის ფრაგმენტები სავარაუდოდ ძვ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება.

არქეოლოგები ამბობენ, რომ ეს არის იშვიათი ტიპის ნასახლარი და მისი მსგავსი აღმოჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ იტალიასა და შვეიცარიაში. ნასახლარის შესწავლის პირველი ეტაპი დასრულდება 4 ოქტომბერს. ექსპონატები გერმანიის არქეოლოგიურ ინსტიტუტში გადაიგზავნება.

### ბათუმში საკრუიზო გემი „მინერვა" შევიდა

ბათუმის ნავსადგურს საკრუიზო გემი „მინერვა" ესტუმრა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამგზავრო გემმა 300-ზე მეტი ბრიტანელი ტურისტი ჩამოიყვანა. უცხოელი სტუმრები დღის პირველ ნახევარში ბათუმის ღირსშესანიშნაობებს, გონიოს ციხესა და ბოტანიკურ ბაღს დაათვალიერებენ.

შუადღისას კი ბათუმის დრამატულ თეატრში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მათთვის სპეციალურ კონცერტს გამართავენ.

„მინერვა" ბოლოს ბათუმის ნავსადგურში 2005 წელს იმყოფებოდა. ბათუმის შემდეგ საკრუიზო ხომალდი გეზს უკრაინისკენ აიღებს.

XO-ЭОВ-ЗБ

სიტუაცია

# მუნდირის დაცვას საქმე ეწირება



რომ გვეგონა, ქართული სპორტის მამებმა ამბიციები გვერდზე გადადეს და ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშების სეზონში ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების სათავეში შოთა ხაბარელი დააბრუნესო, არც მთლად ეგრე ყოფილა თურმე საქმე.

ყოველ შემთხვევაში, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ალექსიძემ „ჯვაროსანთა" ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელის მეორედ მოსვლას ჭორი უწოდა და დასძინა, ამის შესახებ მეც პრესიდან შევიტყვეო. თუმცა, მან არც ის დამალა, რომ ოლიმპიურ ჩემპიონთან მართლაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ოღონდ არა ძველ თანამდებობაზე მოსაწვევად, არამედ გუნდის ამჟამინდელ ავსტრიელ თავკაც პეტერ ზაიზენბახერთან ერთობლივი მუშაობისა და ყველა ასაკობრივი ნაკრების მზადების კურირების თაობაზე.

არანაკლებ ბუნდოვანია თვით ბატონი შოთას პოზიციაც: ვადასტურებ, რომ მართლაც მქონდა შემოთავაზება, მაგრამ უცებ შეიცვალა სიტუაციაო.

მოკლედ, მიდი და გაიგე, სადაა ძაღლის თავი დამარხული. ფაქტი კი ისაა, რომ აღნიშნული აჯაფსანდალით ქართული ძიუდოს საქმე სულ უკან-უკან მიდის.

კალათბურთი

## ჰორიზონტზეა „კანტუ"



ამ დღეებში გაჩნდა ვარიანტი, რომ გიორგი შერმადინი იტალიაში გადაბარგდეს და მანუჩარ მარკოიშვილის თანაკლუბელი გახდეს „კანტუში".

საამისოდ აპენინელები ბელარუს ცენტრალურ თავდამსხმელ არტიომ პარახუნსკისთან კონტრაქტის გაწყვეტას და ქართველი გიგანტის დამატებას აპირებენ.

ჩვენს თანამემამულეს „პანათინაიკოსთან" მოქმედი კონტრაქტი გაისად ეწურება და უკანასკნელ ბერძნულ სეზონში 550 000 ევრო უნდა მიიღოს, მის ამჟამინდელ მსურველებს კი ამ თანხის გადახდა არ ნებავთ და სწორედ აღნიშნულ პირობებზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

შეგახსენებთ, რომ გიომ განვლილი სეზონი იჯარით ლიუბლიანის „ოლიმპიაში" გაატარა, თუმცა ჯერაც გაურკვეველია, დაბრუნდება თუ არა ელადაში. როგორც თავად აცხადებს, ყველაფერი ათენელთა ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე გადაწყდება.

ფეხბურთი

# მოზაიკა

XXIII ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებულ შეხვედრებში მეხი გავარდა — ქვეყნის წამყვანმა კლუბებმა ახალ სეზონში პირველი მატჩები წააგეს.

„ტორპედო" — „დინამო" 2:1 (დოლიძე, მეგრელაძე; იაგუე), „ზესტაფონი" — „დილა" 0:4 (რაჟამაშვილი, ჩაგელიშვილი, ახალკაცი, ნემსაძე).

ქუთაისში გამართულ პრინციპულ ბრძოლას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს მასპინძელთა თავკაცი გია გეგუჩაძე, რომელიც 1 ოქტომბრიდან შეუდგება მოვალეობის შესრულებას. რაც შეეხება მის ყოფილ კლუბს, ზესტაფონელებმა მართლაც რომ შოკისმომგვრელი მარცხი იწვნიეს.

სატურნირო მდგომარეობა VI ტურის შემდეგ: „დინამო" — 13, „ბაია" — 12, „ზესტაფონი", „მეტალურგი" — 11-11, „გაგრა" — 10, „ტორპედო" — 9, „ვიტ ჯორჯია", „მერანი" — 8-8, „დილა" — 7, „კოლხეთი" — 5, „ცხინვალი" — 3, „სიონი" — 2 ქულა.

* * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების 1/8 ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. კენჭისყრაში 16 კლუბი მონაწილეობდა, რომლებიც შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ბათუმი), „ჭიათურა" — „ვიტ ჯორჯია" (თბილისი), „დინამო" (თბილისი) — „დილა" (გორი), „ზესტაფონი" — „კოლხეთი" (ფოთი), „ბაია" (ზუგდიდი) — „სიონი" (ბოლნისი),




„ჩიხურა" (საჩხერე) — „მეტალურგი" (რუსთავი), „მერანი" (მარტვილი) — „ცხინვალი", „სულორი" (ვანი) — „გაგრა".

მერვედფინალის პირველი შეხვედრები 28 სექტემბერს გაიმართება და 16 საათზე დაიწყება, განმეორებითი მატჩები კი 2 ნოემბერს 15 საათზეა დაგეგმილი.

* * *

**წარმატებით** ჩაება 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრები. მოლდოვაში დაწყებუ-



ლი ასპარეზობის სტარტზე ვასილ მაისურაძის შეგირდებმა ბულგარელებს სძლიეს — 3:2 (ჭეჭელაშვილი, ახვლედიანი, პაპუნაშვილი) და დიდი ნაბიჯი გადადგეს ელიტ — რაუნდისკენ, სადაც ჩვენი ჯგუფის 2 საუკეთესო გუნდი ითამაშებს.

შვედეთი — მოლდოვა 3:0.

დღეს ჭაბუკ „ჯვაროსნებს" მეტოქეობას მასპინძლები გაუწევენ.

* * *

„ევრო — 2012"-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ორ უკანასკნელ მატჩში (ლატვიასთან — 0:1, მალტასთან — 1:1) დაკარგული ქულები საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფიფას სექტემბრის რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითებად დაუჯდა — ამჟამად თემურ ქეცბაიას გუნდს 64-ე პოზიცია უკავია.

რაც შეეხება წამყვან ოცეულს, იგი ასე გამოიყურება: ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ურუგვაი, პორტუგალია, იტალია, ბრაზილია, ინგლისი, ხორვატეთი, არგენტინა, საბერძნეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩილე, იაპონია, კოტ დივუარი, დანია, შვეიცარია, ავსტრალია, მექსიკა.

* * *

**იტალია.** „ჯენოა" — „კატანია" 3:0, „იუვენტუსი" — „ბოლონია" 1:1, „კიევო" — „ნაპოლი" — 1:0, „მილანი" — „უდინეზე" 1:1, „ჩეზენა" — „ლაციო" 1:2.

**ესპანეთი.** „ვალენსია" — „ბარსელონა" 2:2, „ატლეტიკო" — „ხიხონი" 4:0, „რასინგი" — „რეალი" 0:0, „მალაგა" — „ბილბაო" 1:0, „ოსასუნა" — „სევილია" 0:0.

**საფრანგეთი.** „კაენი" — „ლიონი" 1:0, „აიაჩო" — „მონპელიე" 1:3, „სენტ ეტიენი" — „ტულუზა" 1:1, „სოშო" — „რენი" 2:6, „პსჟ" — „ნიცა" 2:1.

**ინგლისი.** ლიგის თასი. „ჩელსი" — „ფულჰემი" 0:0 (პენალტებით — 4:3), „ლიდსი" — „მანჩესტერი" 0:3, „სიტი" — „ბირმინგემი" 2:0, „ბრაიტონი" — „ლივერპული" 1:2, „კარდიფი" — „ლესტერი" 2:2 (პენალტებით — 7:6).

* * *

**მილანის** „ინტერის" არგენტინელმა კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ „შავ-ლურჯთა" მაისურით 757-ე მატჩი „ნოვარასთან" გამართა — 1:3 და ამ მხრივ სახელოვანი კლუბის ახალი რეკორდსმენი გახდა. ძველი მიღწევა — 756 შეხვედრა ლეგენდარულ მცველ ჯუზეპე ბერგომის ეკუთვნოდა და მის დასამყარებლად ავტორს 20 წელი დასჭირდა (1979-1999).

რაც შეეხება 38 წლის მარჯვენაფლანგელს, მან 16 სეზონის განმავლობაში ასეთ მონაგარს მოუყარა თავი: იტალიის 5-გზის ჩემპიონი, ქვეყნის თასისა და სუპერთასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგის, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატისა და უეფას თასის გათამაშების გამარჯვებული.




რაგბი

# ისინი ბრძოლაში დაშავდნენ

**როგორც** მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის შეხვედრას 28 სექტემბერს რუმინელებთან გამართავს.



როგორც „ბორჯღალოსანთა" ბანაკიდან გამოჟონილი ინფორმაცია მოწმობს, კარპატელებთან პრინციპულ ბრძოლაში გამორიცხულია ირაკლი მაჩხანელის მონაწილეობა, რომელმაც ინგლისელებთან მატჩში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო.

რაც შეეხება ალექსანდრე თოდუასა და დავით ქუბრიაშვილს, მართალია, ბრიტანელებთან დუელი ტვინის შერყევით დაასრულეს, მაგრამ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არცთუ საგანგაშოა და ჩვენი გუნდის სამედიცინო შტაბი იმედოვნებს, რომ ისინი „მუხის ფოთლების" წინააღმდეგ სარბიელზე გასვლას შეძლებენ.

**გუშინ:** სამხრეთ აფრიკა — ნამიბია 87:0 (!)

ინტერნეტიდან

## ყველაზე საშიში სახეობა?

თუმცა ძიუდო მიჩნეულია სიცოცხლის სკოლად, მაგრამ მასვე სიკვდილის გზად ასახელებს თვალსაჩინო იაპონელი სპორტსმენი ქალი ნორიკო მიძოგუტი. ის ხომ ბარსელონას ოლიმპიადის „ვერცხლის" მფლობელია. ფრანგულ ჟურნალში L' Eguipe გამოქვეყნებული სტატიით ის განგაშს ტეხს იაპონური ძიუდოს სწავლებაში გამოყენებული მეთოდების გამო, რადგან ისინი სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიანო. ავტორს მოაქვს მძიმედ დაშავებული ძიუდოისტების იაპონური ასოციაციის (IIAVA) სტატისტიკა, რომლის მიხედვით ტატამზე სულ უფრო ხშირია მძიმე ტრავმები 12-დან 18 წლამდე ასაკის ჯგუფებში. 1983 წლიდან 2009 წლამდე იაპონიაში დაიღუპა 110 ძიუდოისტი — მოზარდი. 65 ლეტალურ შემთხვევაში



ამის მიზეზი იყო თავის ტვინის დაზიანება. 280 სპორტსმენი კი ალბათ მთელი ცხოვრება გაიტანჯება მსგავსი ტრავმების შედეგების გამო. იმავე სტატისტიკის მიხედვით წელიწადში თავის ტვინის 10 ტრავმის გამო 4 შემთხვევაში სიკვდილიანობაა.

ეს მაჩვენებლები უფრო საგანგაშოა იმის გამო, რომ 2012 წლიდან ძიუდო ხდება იაპონურ კოლეჯებში სპორტის სავალდებულო სახეობად.

ამავე დროს სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ძიუდო მაინც ახალგაზრდობის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა, რადგან ბევრ დადებით თვისებას ანვითარებს.

## სერენა — კეთილი ნების ელჩი



**გაეროს** ბავშვთა ფონდის — იუნისეფის — კეთილი ნების ელჩების შემადგენლობას მიემატა კიდევ ერთი სპორტსმენი — ამერიკელი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანოსანი სერენა უილიამსი. ის თავის ძალისხმევას მოახმარს მოქმედ ინიციატივას „სკოლები აფრიკისთვის" და მომავლის პროექტს „სკოლები აზიისთვის".

„მიმაჩნია, რომ ბავშვები იმსახურებენ ცხოვრებაში რალაცის მიღწევას", — თქვა სერენამ ნიუ-იორკში გამართულ ცერემონიალზე.

ფონდის ხელმძღვანელმა ენტონი ლეიკმა უილიამს უწოდა „ბავშვების უფლებებისთვის მებრძოლი და მგზნებარე მომხრე იმისა, რომ ყოველ ბავშვს ჰქონდეს მაღალხარისხოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა". 2006 წელს სერენა ფონდ იუნისეფთან ერთად იყო განაში, სადაც მონაწილეობდა მალარიის საწინააღმდეგო ბადეების დარიგებასა და ბავშვთა იმუნიზაციის კამპანიაში.

ფონდის ელჩებს შორის არიან ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი, მომღერალი შაკირა, მსახიობი ორლანდო ბლუმი. ფიგურული მოციგურავე იუ ხა კიმი, მოჭადრაკე ანატოლი კარპოვი და სხვები.

## აქ ბავშვებს რა უნდათ?

**ინგლისში** დიდი სკანდალი აგორდა ბრძოლებში წესების გარეშე 5-დან 8 წლამდე ბავშვების მონაწილეობის გამო. პრესტონის ერთ-ერთ კლუბში ვიდეოზე გადაღებული ბრძოლა მიმდინარეობდა შერეული ორთაბრძოლის წესებით, მაგრამ დარტყმების შეზღუდვით.




როგორც გაზეთი The Sun იტყობინება, ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციამ უკვე აკრძალა ამ კომერციული შეჯიბრებების მოწყობა. პოლიციამ კი გამოძიება დაიწყო.

კლუბის პატრონმა, 28 წლის სტივენ ნაიტინგეილმა, თავადაც პროფესიონალმა მებრძოლმა, თქვა, რომ „ეს იყო განსაკუთრებულად კარგი და საინტერესო ღონისძიება. ყველაფერი ჭიდაობაზე იყო დაფუძნებული. 14-15 წლამდე ბავშვებისთვის დარტყმები კი — აკრძალული" და ისიც დაამატა, რომ მსგავსი ბრძოლები პოპულარობას იძენს.

და მაინც ბრიტანულმა სამედიცინო ასოციაციამ დაგმო ბავშვთა ბრძოლები წესების გარეშე, რადგან ისინი განსაკუთრებულ განგაშს იწვევს.

ეპიტაფია

**„ჩემი დაბადების დროა განწმენდის — სურწყუნისის თვე. მე დავიბადე ორჯერ და ორივეჯერ ერთსა და იმავე ადგილზე — ვერაზე: ფილარმონიის გვერდით — სამშობიაროში და სამშობიაროს გვერდით — ფილარმონიაში!**

**ერთხელ — ფიზიკურად, 1928 წლის 13 თებერვალს და მეორედ — მეტაფიზიკურად, 1981 წლის 28 დეკემბერს! დიახ, ეს იყო ჩემი „პაემანი ვერაზე“!**

ასე აღწერს თავის ამ ქვეყნად მოსვლას თბილისის მეტრფე და მეხოტბე გიზო ნიშნიანიძე — მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

„გააჩნია, ვინ და სად გეკითხება, სადაური ხარო. მოსკოვში თუ მკითხეს, ვეტყვი, რომ ქართველი ვარ! საქართველოში თუ მკითხეს, ვეტყვი — თბილისელი!.. თბილისში თუ მკითხეს, ვეტყვი — ვერელი! ვერაზეც თუ მკითხეს — ვეტყვი, რომ ჩემი გვარის ძირი ოკრიბაა...“

„მართალია, ჩვენ ბავშვობა ხელიდან გამოგვაცალეს, პურისა თუ ნავთის რიგებში უდროოდ და უმოწყალოდ დავკაცდით, მაგრამ დაკარგულ თაობად, ნურას უკაცრავად, თავს ვერ ჩავთვლით: ჩვენ გაჭირვებამ დალხინების ფასი გვაჩვენა. ჩვენ ის საერთო ძარღვი შევინარჩუნეთ, რომლის ერის შუბლზე გაწყვეტასაც ასე უფრთხოდა დიდი ილია...“

„იურიდიულზეც ვსწავლობდი, მაგრამ იარაღს სიცილით მკურნალობა და „დასჯა“ ვარჩიე. სიცილი უძლიერესი იარაღია ამქვეყნად. სიცილი ხალხის მხარეზეა, სიმართლისა და გარემოების საყვირია. სიცილს მყიდველი და გამყიდველი არ უყვარს. სიცილი ბუნებით დემოკრატია, იგი სიკეთის მხარეზეა და არა ფულისა...“

„ერთხელ, ქუჩაში გამოსული კაცი ვიღაცას დაველაპარაკე, ვიღაცას ვეხუმრე, ვიღაცამ კაცად ჩამთვალა... ერთხელ, სიცილით პირგახეული ხალხის შუაში მდგარი რომ დამინახა იოსებ ნონეშვილმა, „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილემ, მომკიდა ხელი და „ნიანგში“ შემაგდო, ხუმრობაში ჩვენ ფულს ვიძლევითო. გავკეთდი-მეთქი, ვიფიქრე და წავყევი. „თანამშრომელი დირექტორს სთხოვდა, ისეთი დახასიათება მომეცი, როგორიც სადღეგრძელოში მითხარიო“, — ეს იყო ჩემი პირველი ხუმრობა. ასე, სიცილ-სიცილით, მოვედი ჩემს პროფესიასთან...

...გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ სულ არ მეგონა მწერალი თუ გავხდებოდი, სადოქტოროს თუ დავიცავდი და უამრავ მეგობარს თუ გავიჩენდი. ერთი იოლი კაცი ვარ. ვარ სიკეთისთვის, მაგრამ არა ქედმაღლობისთვის, სიგლახისთვის. გულით მინდა, ვიყო ადამიანი, რომელსაც, კაცთან კი არა, ღმერთთანაც მიესვლება...“

გიზო ნიშნიანიძის ჟურნალისტურმა მოღვაწეობამ მოიცვა ჟურნალ-გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „თბილისი“, „კომუნისტი“, „ნიანგი“, საქტელერადიო კომიტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. მას ეკუთვნის წიგნები „სიცილის არქივიდან“ (რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პრესის ისტორია — 1881-1921), „საქართველოს პრესა და რადიომაუწყებლობა დიდ სამამულო ომში“, „ზღვა სიხარული“, კრებული „დავით სარაჯიშვილი“, ავტობიოგრაფიული მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „გიზო ნიშნიანიძე“ და სხვა.

გიზო ნიშნიანიძემ ლექსის წერა ცხოვრების შუა გზაზე, 53 წლის ასაკში დაიწყო. თბილისს, მის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანს — ვერას ეძღვნება პოემა „პაემანი ვერაზე“.

**ჩემი ფანტაზია ახლა**
**ფანტვაზეა,**
**სიყრმით მოგატარე მთელი**
**ევრაზია!**

## გიზო ნიშნიანიძე:

# კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც, ვინც იხსენებს



**თუ არც ჟურში ზიხარ და არც**
**პანტაზეა —**
**მთელი ევრაზია აგერ, ვერაზეა!**

იგი პოეტურ სახეებში წარმოდგენილი თბილისის ისტორიული ფსიქოლოგიაა. „...რატომღაც, წიგნისთვის „შავი რეცენზიის“ დაწერა დაავალეს მორის ფოცხიშვილს, მაგრამ იმ სულგანათლებულმა ისეთი საქებარი რეცენზია დაწერა, რომ მე იგი წიგნის წინასიტყვაობად ვაქციე: „პაემანი ვერაზე“ სიცოცხლისა და მარადიული სიჭაბუკის, გულითადობისა და კაცურ-კაცობის, სიკეთედ და სიყვარულად „დაღვრილი“ მზეჭაბუკების პატიოსანი ცხოვრების საგალობელია. მასში თბილისელთა თბილისელობაზეა საუბარი, გულწრფელი და გულალალი თბილისელი კაცის საუბარი... გიზო ნიშნიანიძემ ბეწვის ხიდზე გაიარა, მაგრამ ხომ გაიარა?!...“

პოემის მხატვრული კომპოზიცია დაიდგა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 1981 და 2010 წლებში. 2010 წლის 4 მაისს, ფილარმონიის წინ, გიზო ნიშნიანიძის სახელით, გაიხსნა მისი თაობის თბილისელების ვარსკვლავი.

2008 წელს გიზო ნიშნიანიძემ გამოსცა ლექსების კრებული „მიგულე“. მალე დღის სინათლეს იხილავს სამტომეული: „იყოდან არაიყომდე“, „გაქცეული კალამი“ და „შენიდან — შენამდე“. მზადდება გამოსაცემად ლექსების კრებული „რჩეული რვეული“.

აქტიურ სამწერლო-პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად, გიზო ნიშნიანიძე იყო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილის“ ვიცე-პრეზიდენტი. იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის და ღირსების ორდენებით, თბილისის საპატიო მოქალაქის, დავით სარაჯიშვილის, ივანე ჯავახიშვილის მედლებით, მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

„...დრო აჩქარდა, წლები მემატება და ნელ-ნელა მამაჩემს ვემსგავსები. უკვე იმ ასაკში შევედი, სარკეს რომ გაურბიან. საკუთარი სახის დანახვას მირჩევნია, სულის სარკეში ჩავიხედო — იქ უფრო უკეთ ჩანს, რა მაწუხებს და რა მიხარია.

წყენას იოლად ვივიწყებ... იმ გრძნობას გაუმარჯოს, ბიჭებო, დედის მუცლიდან რომ არ დაგვყვა! იმ წყენას გაუმარჯოს, ბიჭებო, იქიდან აქამდე რომ არ გაგვყვა!“...

გიზო ნიშნიანიძე ყველა თბილისელის მეგობარი იყო — ყველას ტკივილის გამზიარებელი და დამტირებელი. უმძიმს თბილისს მასზე წარსულ დროში ლაპარაკი. ძნელია, იპოვო სიტყვები, რომელიც მისი ამ ქვეყნიდან წასვლის ტკივილს გამოგათქმევინებს. ისევ მისეულად შევეცდებით, გადმოვცეთ დარდი, როგორაც იგი ძველ თბილისელებს ემშვიდობებოდა:

2011 წლის 24 სექტემბერს ყველაზე დიდი სევდიანი პაემანი შედგება.

ქაშუეთის ტაძარში დაასვენებენ კაცს, რომელიც თბილისს გულზე ხელების დასაკრეფად არ ემეტება.

ვინაა ეს კაცი?

ეს, მგონი, თვითონაც არ იცოდა.

თბილისელი კაცი გახლდათ.

გლოვის დღეს მას, სწორედ, თბილისელები უჭირისუფლებენ... ჩამავალი მზის ეშხში შესულნი...

თავჩაქინდრული და წელში მოხრილები იქნებიან დროჟამით სისხლგამშრალი, ცრემლგამშრალი ძველი და ახალი თბილისელები და მათი დუმილი სულაც არ იქნება თანხმობის ნიშანი.

იმ დღეს, ქაშუეთის ტაძრის სანთლების შუქზე გაიმართება ბოლო სპექტაკლი, ანუ სიკვდილის „პრემიერა“ ვერელი კაცისა, რომელმაც იცხოვრა მაცხოვრის ნებით, კაცური ღვთისნიერებითა და ქრისტიანული სათნოებით.

ამ ნაღდ თბილისელ კაცს დიდუბის პანთეონამდე გააცილებს მისი ხნის თბილისი — თბილისი, რომელსაც გული ხელით უჭირავს და, თითქოს, დროს ასაფლავებს — მათი ბიჭობის დროს!

რაა ის თბილისი, რომელსაც სიცოცხლით ვერ შეემატები და სიკვდილით ვერ მოაკლდები!

გიზო ნიშნიანიძე უკვე სხვა თბილისში ცხოვრობს!...

**„დრო მიდის, გვითვლის ნაბიჯებს**
**და უკან აღარ ბრუნდება,**
**ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს**
**მეორედ მოსვლის უფლება.“**

გიზო ნიშნიანიძე მარადიული თბილისელი გახდა.

**... სამგლოვიარო პროცესია კი**
**წაიღებს მათ დროს!**
**„ნეტა იმ დროს, რომელ დროსაც...**
**„ჩვენ დროს“ ვეძახდით!“**

თბილისის მიწა გულში ჩაიკრავს ნაღდ თბილისელს, რომელიც დედაქალაქს სიცოცხლითაც ამშვენებდა და სიკვდილითაც დაამშვენებს, რომელიც სიცოცხლით სიცოცხლეს გვიადვილებდა და სიკვდილით სიკვდილს გაგვიადვილებს...

ეს ლექსი ანდერძად მიიღეთ, თბილისელებო:

**„...გამოვეკერე ცას... ჩათვალეთ,**
**როგორც გენებოთ —**
**ბოლო სალმისთვის გამოვედი,**
**თბილისელებო!**
**მოგეხსენებათ:**
**კარგ მთქმელს უნდა კარგი**
**გამგები,**
**ჩემი სალამი არ ჩათვალოთ**
**გამოსალმებად!**
**სულით და გულით მუდამ**
**თქვენთან რომ ვიყო, ვინძლო:**
**თბილისს რომ ფრჩხილი**
**წამოსტკივდეს... საფლავში**
**ვიგრძნობ!“**

ეს ლექსი სადღეგრძელოდ მიიღეთ, თბილისელებო:

**ვის გაუმარჯოს? ეს გაუმარჯოს...**
**იმ გულებს, მკერდში რომ**
**გვიცემს!**
**იმ კაცებს, ვინც გვწვრთნიდნენ**
**კვიცებს!**
**იმ მხედრებს, რომლებმაც**
**გვხედნეს!**
**გვამსგავსეს ასლები დედნებს!**
**მამებს — ამ ჯიშიან ჯამებს!**
**ჯილაგის ნიშნიან... დედებს!**

ეს ფრაზები ცხოვრების გაკვეთილ[ებ]ად მიიღეთ, თბილისელებო:

**ქართველებს გვჭირს ერთმანეთის**
**ჯინაზე კარგად ყოფნის...**
**უბედურება**
**შეძლებით ძმებში — ძმაკაცობა და**
**ძმაკაცებში — ძმობა!**

**ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე**
**მქონდეს!**

**„გათითოკაცება**
**გვაოხერტიალებს!**
**ვიცი ამ ცხოვრების მე**
**ავან-ჩავანი.**
**რაც გაგვყოფს კი არა, რაც**
**გვაერთიანებს**
**ეს არის, ეს არის, ეს არის**
**მთავარი.**
**თუ სხვა აზრისა ხარ, ოი,**
**როგორ ცდები!**
**ტყუილად გამსარჯე და ტყუილა[დ]**
**გაისარჯე!**
**შენი გამარჯვებით — მე არ**
**დავმარცხდები,**
**ჩემი დამარცხებით — შენ ვერ**
**გაიმარჯვებ!**

გიზო ნიშნიანიძე ერთ-ერთ წიგნში წერს: ისე უნდა იცხოვრო, რო[მ] ოდეს... გულზე ხელების დაკრეფი[ს] დრო მოვა... უფლება გქონდეს!

ჩვენ არ მოგვიცია გულზე ხელების დაკრეფის უფლება თქვენთვის!

დაუბრუნდით თქვენს საფიცა[რ] თბილისს, დედას გაფიცებთ!

**თბილისელებ[ი]**

ინფორმაცია

## თბილისელები მეწველი ძროხები არ არიან

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე საკრებულოს სარევიზიო კომისიას დასუფთავების გაზრდილი გადასახადიდან შემოსული თანხების განკარგვაზე შემოწმების დაწყებისკენ მოუწოდებს. აბაშიძემ დასუფთავების გადასახადის ახალი წესი თბილისის საკრებულოს შენობასთან გააპროტესტა.

ალასანიას გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთა მიმართ სოლიდარობის მიზნით, თავისუფლების მოედანზე მეეზოვის ფორმაში ჩაცმული მივიდა.

„ამ შენობაში საკრებულომ მიიღო უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილება ნაგვის გადასახადის ელექტროენერგიაზე მიბმასთან დაკავშირებით, რის გამოც დასუფთავების უკვე გაძვირებული გადასახადი, 10-ჯერ მოიმატებს ზამთრის პერიოდში. ჩვენ გვაინტერესებს, სად მიდის ეს ფული და მივმართავთ სარევიზიო კომისიას, დაიწყოს დროულად მუშაობა და შეამოწმოს თანხები“, – აღნიშნა აბაშიძემ.

„თბილისელები არ არიან მეწველი ძროხები და ეს კარგად უნდა ესმოდეს უგულავას“, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მან კითხვით მიმართა მერს, აწუხებს თუ არა მის ოჯახს დასუფთავების გაზრდილი გადასახადი?

ᲮᲝ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲝ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად უსამძიმრებს ბატონ გიორგი (გოგიტა) გოგიაშვილს მამის, დიდებული ადამიანის, მამულიშვილისა და მოქალაქის

**დურმიშხან გაბრიელის ძე გოგიაშვილის**

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას, 25.IX.21 (გამოსვენება კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში).



გარდაიცვალა თბილისზე და თავის სამშობლოზე შეყვარებული ჭეშმარიტი ქართველი კაცი, თბილისის საპატიო მოქალაქე, მოფიქრალი მოყვასთა და მეგობართა მოყვარული, პოეტი და მწერალი, იუმორისტი, რომელმაც გულიანად უმღერა თბილისსა და თბილისელებს,

**გიზო ნიშნიანიძე**

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით ეთხოვება თბილისელ მოქალაქეს, თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

ზურაბ ლომიძე და ლუნაზი სვანი იუწყებიან

**გიზო ნიშნიანიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მერაბ ნიკოლაიშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ლიანა, გია და ზაზა ნიშნიანიძეებს

**გიზო ნიშნიანიძის**

გარდაცვალების გამო.

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირი უდიდეს მწუხარებას გამოხატავს იმის გამო, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე პიროვნება, გამორჩეული პროფესიონალი და ინტელიგენტი

**თამაზ ჭუმბურიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს დას – მადონას, სიძეს – ტარიელს, დისწულებს – გიორგისა და ნინოს.

შვილები მიშიკო, გია საყვარელიძეები, ნანა გოგოლაძე, შვილიშვილები გიორგი და მარიამი მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ლუიზა ჯვარშეიშვილი-საყვარელიძე**

პანაშვიდი 23 IX, 16 სთ. მაზნიაშვილის ქ. № 9 (ყოფილი მერკვილაძის). გამოსვენება წმ. ნინოს სახ. ეკლესიიდან. 24 IX, 15 სთ.

ავთო, ბიჭიკო, ჯონდო, კოტიკო, გიკა საყვარელიძეები, ნანული იშხნელი ოჯახებით იუწყებიან ძლის

**ლუიზა ჯვარშეიშვილი-საყვარელიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება წმინდა ნინოს ეკლესიიდან 24 IX, 15 სთ. დაკრძალვა დიღმის სასაფლაოზე.

გამოიცა

## გალაკტიონი და მისი საიუბილეო წიგნი

120 წელი შესრულდა გალაკტიონის დაბადებიდან... სწორედ ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება წიგნი, „გალაკტიონი 120“, რომლის ფორმატი და მოცულობა სრულიად შეესაბამება გენიალური პოეტის იმპოზანტურ სახელსა და მასშტაბებს...

წიგნში წარმოდგენილია გალაკტიონის ლირიკა და პოემა „ჯონ რიდი“, რომლის მაღალი რეპუტაციის გარანტი თვით ავტორის კოლოსალური ავტორიტეტია...

პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის ფრაგმენტები, მისი ჩანაწერები, ესსეები, მედიტაციები, სიტყვა-თქმანი, იმედია მძაფრად აღებეჭდებიან მკითხველთა ცნობიერებას...

მათში თვალსაჩინოვდებიან ყოფიერების დრამატული ეპიზოდები, ტანჯული საუკუნის ვნებათაღელვანი, სულიერი მარტოობისა და მარგინალიზებული სიცოცხლის აუტანელი განცდები... თვითრეფლექსირების ამ ნაკვეთში უკიდურესად მძაფრდებიან პოეტის მარტოსულობისა და მწუხარების გამომხატველი კონფიგურაციები... მისი არსებობის თანმდევი მენტალური მიდრეკილებანი...

ცალკე აღნიშვნის ღირსია პოეტის ბრწყინვალე ანალიტიკური ოპუსები.

წიგნის საიუბილეო პათოსს „ეხმიანებიან“ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები... ცნობილ ქართველ პოეტთა ლირიკულ ქმნილებებში გულწრფელი თაყვანისცემაა გამოხატული საუკუნის ამ ჭეშმარიტი პროტაგონისტის მიმართ...

გალაკტიონი, როგორც ქართული ანალიტიკური აზროვნების უპირველესი „საჯილდაო ქვა“, როგორც ლიტერატორთა მაღალი რეპუტაციის განმსაზღვრელი ეტალონი – „წიგნის ფინალური ნაკვეთის ემბლემატური სლოგანია..

„ფიქრები და მოგონებები“ გალაქტიონზე მისი პოეტად დაბადებიდან დღემდე ზღვა მასალაა და ბუნებრივია აქ მხოლოდ მცირე ნაწილი და ისიც, ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი...



თუმც, ამ განსჯა-ანალიზებიდანაც კარგად ჩანს ის, რომ გალაკტიონ ტაბიძის ფენომენი ქართული კულტურის ერთი კარდინალური პრობლემათაგანია... რომ მხოლოდ სისტემატურად უნდა იქნას აღქმული მისი ესთეტიკა და მსოფლხედვა, მისი სახეობრივი აზროვნების სინქრონული და დიაქრონული ასპექტები... და იმ ინტელექტუალური პროცესის ონტოლოგია, რომელმაც შვა და აღმოაცენა ეს სრულიად უნიკალური შესაძლობლობების პოეტი...

ფრიად საგულისხმოა წიგნში წარმოდგენილი „ფოტოგალერეა“, ანუ დიდი რუდუნებით მოძიებული ის თვალსაჩინოებანი, რომელნიც კიდევ უფრო შთამბეჭდავსა და ხელშესახებს ხდიან გალაკტიონის სამყაროს, მისი „მშობლიური“ საუკუნის ვიზუალურ კადრებს... სოფელს, ქალაქებსა და ადამიანებს... სამუდამოდ ჩავლილ და გაუჩინარებულ სიძველეთა განუმეორებელ სურნელს...

და, კიდევ ერთი – გენიალური პოეტის ფანქრით შესრულებული ჩანახატები... ნაივური ხელრთვით აღბეჭდილნი, ისინი ადამიანთა სახეებისა თუ ფიგურების, პეიზაჟებისა თუ ნატურმორტების იდუმალ სილუეტებად ცნაურდებიან... აქაც, ამ „პიკანტურ“ გატაცებაშიც უჩვეულო და მშვენიერია გალაკტიონის მუზა...

აი, დაახლოებით ასეთია ამ დიდი წიგნის შინაარსი, მისი კომპოზიცია...

პოეტის საიუბილეოდ შექმნილმა ერთმა ამ კრებულმა შეითავსა თუ შეიწოვა და გააერთიანა ის, რაც უკვე არსებობდა ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში და რამაც თავისი კვალი გაავლო გალაკტიონოლოგიაში... ასე რომ აქ ცოტა რამ არის ახალი და ორიგინალური...

და მიუხედავად ამისა, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ამ ტიპის კრებულები ეროვნული კლასიკის პოპულარიზაციის უბრწყინვალესი „გარანტორები“ იქნებიან მომავალშიც...

სურვილი მისი სწორედ ამგვარად გამოცემისა აკაკის საიუბილეო ასევე დიდი წიგნის დაგემოვნების შემდეგ იშვა...

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატს, დაუღალავ, ერთგულ და შეუპოვარ ენთუზიასტს, გამოცემის პროექტის ავტორს ბატონ ბონდო კობაძეს, იმ დიდი ღვაწლისათვის, ამ საიუბილეო კრებულის „დაბადებისათვის“ რომ გასწია...

**გურამ ბენაშვილი**

„გალაკტიონი-120“-ის რედაქტორი

ექო

## დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილის ექსტერიტორიად გამოცხადების იდეამ ბაქოში მწვავე რეაქციები გამოიწვია

აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი ფარვინ დარაბადი საქართველოსა და აზერბაიჯანს დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილის ირგვლივ არსებული დავის გადაწყვეტის გზად მის ექსტერიტორიად გამოცხადებას სთავაზობს.

ექსპერტის აზრით, „კეშიკჩი“ შესაძლოა, ორივე მხარის – საქართველოსა და აზერბაიჯანის საერთო კუთვნილებაში იყოს და ორივე მხარეს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს.

დარაბადის ამ მოსაზრებას აზერბაიჯანში მწვავე შეფასებები მოჰყვა.

„მსგავსი კომენტარები აზერბაიჯანულ და ქართულ საზოგადოებებში გაუგებრობას თესავს. მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, ისეთი დელიკატური საკითხის განხილვისას, როგორიცაა დელიმიტაცია, ისტორიული ფაქტები და მოსაზრებები ამოსავალი წერტილი ვერ იქნება. საზღვრების დადგენისას მხარეებისთვის საფუძველი მხოლოდ იურიდიული და ნორმატიული დოკუმენტები შეიძლება, იყოს“, – წერს 1news.az, რომელიც აღნიშნულ საკითხზე კომენტარისთვის აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც დაუკავშირდა.

„საზღვრის შეთანხმებული მონაკვეთების ფარგლებში ტერიტორიების გაცვლის საკითხი განხილული არ ყოფილა. საზღვრის 2/3 აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოთაშორისი კომისიის მიერ უკვე შეთანხმებულია, მაგრამ შეუთანხმებელი მონაკვეთის ირგვლივ მოლაპარაკებები გრძელდება“, – განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ელმან აბდულაევმა.



მისივე თქმით, სახელმწიფოთაშორისი კომისიის დონეზე დელიმიტაციის სამუშაოების დასრულებისთანავე შეთანხმების პროექტი მომზადდება, რომელსაც ორივე მხარე მოაწერს ხელს.

შეგახსენებთ, რომ „კეშიკჩის“ სახელწოდებით აზერბაიჯანელები დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის იმ ნაწილს მოიხსენიებენ, რომელიც სადღეისოდ არსებული საზღვრის აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად მონაკვეთზე მდებარეობს.

ცნობისთვის, დავით-გარეჯის კლდეში ნაკვეთი უნიკალური სამონასტრო კომპლექსი გარე კახეთში, გარეჯის მთის ნახევრადუდაბნოში 25 კილომეტრზეა გაშენებული. მონასტერი VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა, წმინდა დავით გარეჯელმა დააარსა.

დღესდღეობით დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში ქართველი ბერები ცხოვრობენ და იგი ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია, რომლის ერთ ნაწილს აზერბაიჯანელები აკონტროლებენ.

**ნინო ჩიჩუა**

„პირველი“

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 22 სექტემბრის ნომრის მე-4 გვერდზე დაბეჭდილი წერილის „ეს მცდარი, ბოროტად დეზინფორმაციული საუბარი იყო“ ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

**„მე იმისთვის არ დავბრუნებულვარ, რომ რუსეთის ასლი მენახა. იქ ეს სახელმწიფო სისტემის დასასრულის კანონზომიერი ნიშანია. არა მგონია, თქვენც ასეთი მომავალი გაქლევდეთ ხელს“.**

◉ დაიჯესტი

# უშნოებიც, ლამაზებიც, მაგრამ ერთიანად მდიდრები

„სქელი რომ არის კიდევ არაფერი, თანაც უშნოა, არც ჩაცმა იცის, არც მაკიაჟის გაკეთება, ნამდვილი გომბეშოა!" — ამ ეპითეტებით „ამკობდნენ" ინტერნეტში მარკ ცუკერბერგის საცოლეს პრისცილა ჩანს. ამის მიზეზი ბილ გეიტსის ერთ-ერთ ინტერვიუში იმის მინიშნება იყო, რომ ფეისბუკის შემქმნელი მეგობარი ჩინელი ქალიშვილის ცოლად შერთვას აპირებდა.



აი, მაშინ ატყდა რაც ატყდა: რაო, ასეთმა მდიდარმა კაცმა უფრო ლამაზი ქალი ვერ მონახა? ალბათ, არ შეეძლო, რადგან ბუნებამ არ იცის ისეთი კანონი, რომ მდიდრებს მაინცდამაინც ლამაზები უნდა უყვარდეთ, ღარიბებს კი — ჯოჯოები. ამიტომაცაა, რომ ტოპმოდელებს მაინცდამაინც მდიდრები არ ირთავენ ცოლებად, თუმცა, ცხადია, ასეთებიც მრავლად არიან. არადა, საინტერესოა, მაინც როგორები არიან სხვა სუპერმულტიმილიარდერთა მეუღლეები?

მელინდა გეიტსი „მაიკროსოფტის" შემქმნელის ბილ გეიტსის მეუღლეა, რომლის ქონება 56 მილიარდი დოლარია. მის შესახებ მისტერ გეიტსმა თქვა: „მელინდამ მაიძულა მისი ცოლად მოყვანა მომესურვებინა!"



ისევე, როგორც ყველა კომპიუტერული გენიოსი, ახალგაზრდობაში ბილიც „ზეცაში დანავარდობდა", ამიტომ მეგობრებს მისი ცოლის შერთვის იმედი არ ჰქონდათ. მელინდა და ბილი სამსახურში შეხვდნენ ერთმანეთს, როცა მელინდა „მაიკროსოფტის" გაყიდვების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ისინი 1994 წლის 1 იანვარს, ჰავაიზე შეუღლდნენ და იმ დღეს, ლამის ცხოვრებაში პირველად, ბილმა ძველი ჯინსი და გაცვეთილი ჯემპრე თეთრი სმოკინგით შეცვალა. ჰავაიდან ახალშეუღლებულები ალასკაზე გაემგზავრნენ, სადაც 30-გრადუსიან ყინვაში ძაღლების ეტლით სეირნობდნენ. ამჟამად გეიტსებს სამი შვილი ჰყავთ, მელინდამ სამსახურს თავი დაანება და საქველმოქმედო ფონდს ჩაუდგა სათავეში. იგი მსოფლიოს 50 ყველაზე გავლენიანი ქალის სიაში შედის.

ვენდი დენგი, ბოლო დროს დიდ სკანდალში გახვეული მედიამაგნატის რუპერტ მერდოკის მეუღლეა, რომლის ქონება 7,6 მილიარდი დოლარია. აქაც „სამსახურეობრივი რომანი" ცოლ-ქმრობაში გადაიზარდა. ჩინელი ლამაზმანი მერდოკის იმპერიაში შემავალი ჰონკონგის ტელეკომპანია „სთარ ტვ"-ში მუშაობდა და მომავალი ქმარი კორპორატიულ წვეულებაზე გაიცნო. 1999 წელს ისინი შეუღლდნენ, 30 წლის ვენდისთვის ეს მეორე ქორწინება იყო, 68 წლის მერდოკისთვის — მესამე. ახლა ისინი მანჰეტენში ცხოვრობენ, ჰყავთ ორი შვილი. მეუღლის კორპორაციაში ვენდიმ საკმაოდ წარმატებული კარიერა გაიკეთა.



ლორენ პაუელ ჯობსი, „ეიფლის" გენერალური დირექტორის სთივენ ჯობსის მეუღლეა, რომლის ქონება 5,5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ისინი ერთმანეთს სტენფორდის უნივერსიტეტში შეხვდნენ, სადაც მის პაუელი, ეკოლოგიურად სუფთა სურსათის მწარმოებელი კომპანიის დამაარსებელი, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარი, ლექციებს კითხულობდა, ამდენად ვეგეტარიანელი სტივენი დიდად დაინტერესდა ლექციებითაც და ქერათმიანი ლამაზმანითაც. ლორენმა მეუღლეს სამი შვილი გაუჩინა და მისი ქალიშვილი ლიზა იშვილა, რომელიც ქმარს მათ ნაცნობობამდე შეეძინა.



მელანია ტრამპი სამშენებლო მაგნატის დონალდ ტრამპის მეუღლეა, რომლის ქონება 2,7 დოლარადაა შეფასებული. უნდა ითქვას, რომ ექსტრავაგანტური მილიარდერი (ასევე მსახიობი, პროდიუსერი, ტელეწამყვანი, მწერალი და ა.შ.) ქალებს ძალიან უყვარს. ისიც იმითვე პასუხობს, თანაც უპირატესობას სლავ ქალებს ანიჭებს:



 მისი პირველი მეუღლე ჩეხი ივანა ზელნიშკოვა იყო, ახლანდელი, რიგით მესამე — სლოვენიელი მოდელი მელანია კნაუსი. მათ ერთმანეთი სილამაზის ერთ-ერთ კონკურსზე გაიცნეს. 2006 წელს ამჟამად 41 წლის მელანიამ დონალდს შვილი გაუჩინა, რომელსაც მანამდე კიდევ ოთხი შვილი ჰყავდა წინა ორი ქორწინებიდან.

რადგან ჩვენს მოკლე სიაში დედამიწის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ჟურნალ „ფორბსის" კლასიფიკაციის მეორე ნომერი გეიტსია მოხვედრილი, ბუნებრივია კითხვა — სად არიან ნუსხის პირველი და მესამე ნომრები?

ყველაზე მდიდარი კაცი, მექსიკელი ტელესაკომუნიკაციო მაგნატი კარლოს სლიმი (74 მილიარდი დოლარის პატრონი), ქვრივია. მისი ერთადერთი, საყვარელი მეუღლე სუმაია, ექვსი შვილის დედა, 1999 წელს გარდაიცვალა. იგი, როგორც მდიდარი კაცის ცოლს შეეფერებოდა, ქველმოქმედებით იყო დაკავებული.

სიის მესამე ნომერია ცნობილი ინვესტორი და ყველაფრის, რასაც კი მოგება მოაქვს, მფლობელი („კოკა-კოლიდან" მოყოლებული „უოლტ დისნეით" დამთავრებული), უორენ ბაფეტია, რომლის მეორე მეუღლე ასტრიდი მისი პირველი ცოლის სიუზენის, რომელთანაც მან 52 წელი (!) იცხოვრა... მეგობარი იყო. 2006 წელს, როცა ისინი შეუღლდნენ, ნეფე 76 წლისა იყო, პატარძალი — 60 წლის.

**ლალი ხუნდაძე**

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანებში სალაპარაკო ურთიერთობისთვის საჭირო მანძილად მიიჩნევა: სკანდინავიის ქვეყნებში — 1,2 მეტრი, შუა ევროპასა და ბრიტანეთში — 1 მეტრი, იტალიაში კი 30-40 სანტიმეტრი.

● ადამიანის ეს მდგომარეობა ჩვენ ცნობილ ფილმებში გვაქვს ნანახი, არა მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ ეგვიპტეშიც, სადაც ის დასჯის ერთ-ერთი ფორმა იყო. ევროპაში კი ხშირად მას რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებდნენ — ეს არის ქვიშაში კისრამდე ჩაფლული ადამიანი.

● ძველი საზღვაო კანონით, ძლიერი ქარიშხლის დროს გემბანზე კიტრის მწნილით სავსე კასრს გამოაგორებდნენ გულისრევის შეგრძნების დასათრგუნად.

● ნიუ-იორკის სატელეფონო კომპანიამ ჩაატარა კვლევა, რომელ სიტყვას იყენებენ ყველაზე ხშირად მათი აბონენტები. აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვა არის — „მე".

● აფრიკაში ერთ-ერთი ტომის შეკრებებზე ორატორები სიტყვას ცალ ფეხზე მდგომები ამბობენ, ამით ისინი რეგლამენტს იცავენ. საკმარისია მეორე ფეხი მიწას შეახოს, ორატორი ვალდებულია, შეწყვიტოს ლაპარაკი.

● თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეგრეთ წოდებული „კეთილგონიერების ქამრების" დრო წარსულს ჩაბარდა, ძალიანაც ცდება, რადგანაც ინდონეზიის მთავრობა დღემდე აიძულებს მასაჟისტ ქალებს, ატარონ ეს ქამრები, რათა ამით გამორიცხონ კლიენტებთან მათი ინტიმური ურთიერთობა.

● „თავი — მეფეს, კუდი — დედოფალს" — სწორედ ამ ძველი ინგლისური კანონის მიხედვით იქცევა ყველა კანონმორჩილი ბრიტანელი, რომელიც ინგლისის სანაპიროზე ზვიგენს ან ზუთხს იპოვის.

● ყველაზე ძვირადღირებული საავტომობილო ნომერი აბუ-დაბის მოქალაქემ შეიძინა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ნომერ № 1-თვის 14 მილიონი დოლარი გადაიხადა.

● ცნობილმა ბიზნესმენმა ჩირო და სპოზიტომ სახალხოდ შეჭამა საარჩევნო ბიულეტენი და ასე გამოხატა პროტესტი იტალიის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**განცხადება**

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე. სავალდებულო მოთხოვნებია — უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"
599-62-77; 599 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ამბაკო შვილიშვილს თავისი გმირობის ამბავს უყვება:
— შეუმჩნევლად მივხოხდი, ბაბუ, იქამდე და გერმანელს ფეხი მოვაჭერი.
— კი მარა, თავი რატომ არ მოაჭერი!
— თავი, ბაბუ, მოჭრილი ჰქონდა უკვე.

* * *

— ქალბატონო, შეიძლება დავაბრუნო ეს ქურთუკი? — ეკითხება მამაკაცი გამყიდველს.
— ბატონო, ხომ გარკვევით წერია: „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება".
— მაგრამ მე ხომ არ მიყიდია, მოვიპარე.



* * *

— ძალიან მომწონს, აი, ის მორბენალი, ყელზე წითელი შარფი რომ აქვს შემოხვეული...
— ეს, გოგო, შარფი კი არა, ენაა...

* * *

ჭიჭიკიას ეკითხება ნაზიკიე:
— რა სხვაობაა ქალსა და კოლოს შორის?
— კოლო მხოლოდ ზაფხულში მაწუხებს, — პასუხობს ჭიჭიკია.

* * *

— გოგოებო, წარმოგიდგენიათ, ყოველთვის, როცა ჩემს მეგობარს ვხვდები, დამჭკნარ ყვავილებს მჩუქნის.
— შენც ადექი და პაემანზე თავის დროზე მიდი, — პასუხობს ერთ-ერთი დაქალი.

* * *

— რატომ არ იყავი გუშინ სკოლაში? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.
— ჩემი უფროსი ძმა ავად გახდა, მასწ.
— მერე, შენ რა შუაში ხარ?
— მე მისი ველოსიპედით ვკატაობდი, მასწ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძიგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24